# სახალხო გაზეთი

№ 514 ოთხშაბათი, 1 თებერვალი 1912 წ. № 514

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორის ... პარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი, სასახლის ქუჩა, სახლი სირაჯიშვილისა.

ფოსტის ადრესი: წერილებისათვის და ფულისათვის Тифлисъ, газ. Сахалхо газети, п. ящ. 190.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთ შაურად.**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კ.**

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ამით ვაცხადებთ, რომ

## „სახალხო გაზეთს"

ხელის მომწერთა შემკრები აგენტები არსად არა ჰყავს გარდა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების **ტფილისის** წიგნის მაღაზიისა და ამიტომ ვინც **პირდაპირ „სახალხო გაზეთის" კანტორიდან არ იწერს გაზეთს—პასუხსაც არ ვაგებთ.** ყველა წიგნის მაღაზიას შეუძლიან მიიღოს ჩვენ გაზეთზე ხელის მოწერა მხოლოდ თავისი პასუხის მგებლობით და ამიტომ ხელის მომწერლებმა პასუხისმგებლობაც მათ უნდა მოსთხოვონ.

1912 წ. **სახალხო გაზეთი** 1912 წ.

**!სურათებიანი დამატება!**

მიიღება ხელის-მოწერა

**წლიური ხელის-მომწერნი (8 მ. 50 კ.) მიიღებენ სალიტერატურო კრებულს** გრდემლს.

1 თებერვლიდან წლის ბოლომდე ღირს 8 მან.

## ერთი თვით 75 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ **თვის 1 რიცხვიდან**, მხოლოდ სრული თვეებით და არა უმეტეს მიმდინარე 1912 წლისა.


ხუთშაბათს, 2 თებერვალს, დილის 12 საათზე, მამა დავითის ეკლესიაში, გარდახდილ იქნება პანაშვიდი დიმიტრი ყიფიანის მეუღლის

### ნინა იაგორის ასულის ყიფიანის

სულის მოსახსენებლად, განსვენების დღიდან ათი წლის შესრულების გამო, რასაც აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ მისი შვილისშვილი **ელისაბედ ნიკოლოზის ასული სულხანიშვილისა.** (1—221—1)


### სახაზინო თეატრი.

**ოთხშაბათს, თებერვალს,** 1912 წ. დანიშნულია ლექცია **ივ. ფ. პალმოვისა:**

**ლ. ნ. ტოლსტოის** სიკვდილის შემდეგ გამომჟღავნებული **კაზმული ნაწარმოებნი**

**„რუსეთის დიდებულ მწერლის" საერთო დახასიათებით.**

**ლექციის მოკლე პროგრამა:** 1. გეტე, ვ. ჰიუგო და ლ. ნ. ტოლსტოი, როგორც თავის ხალხის გენიის გამომხატველნი (შედარებითი დახასიათების ნიმუში), ლ. ნ. ტოლსტოის შემოქმედების ძირითადი თვისებანი. ლ. ნ. ტოლსტოის მსოფლიო მხედველობის განვითარების ზოგიერთი მომენტები. სიკვდილის მერე გამომჟღავნებულ ნაწარმოებთა თავმოყრა „რუსეთის დიდებულ მწერლის" მთლიან შემოქმედებასთან დაკავშირებით.

2. ობიექტიურ-მხატვრული ნაწარმოებნი (ტონი და მალანია, იდილია) და ძირითად თვისებით მათთან ახლო მდგარი; მაცდური, ძალა შემდეგ, ჰაჯი-მურატი. ამ ნაწარმოებთა ორი ძირითადი ნაწილი. 3. ლ. ნ. ტოლსტოის ცხოვრების დრამა, მისი ნაწარმოებნი, რომელთაც ავტორის ცხოვრების დრამის დაღი აზის: „ცოცხალი გვამი", „მამა სერგი", „სინათლე სიბნელეშიაც ანათებს". ლ. ნ. ტოლსტოის სიკვდილის შემდეგ გამომჟღავნებულ კაზმულ ნაწარმოებთა ღირსების საერთო დასკვნანი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი დაკლებულია, 30 კაპეიკიდან იწყება. მოწაფეთათვის ღირს 50 კაპ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ყოველ დღე დილის **10—2** საათამდე და საღამოთი 6 საათ. წარმოდგენის დათავებამდე. (2—1085—2)

**იბეჭდება და თებერვლის დამლევს გამოვა**

## აკაკი-ს

### თხზულების პირველი წიგნი,

რომელშიაც მოთავსებული იქნება **ახალი** ნაწარმოები ჯერ დაუბეჭდავ და აგრედვე **ძველიც**, ზოგიერთის შენიშვნებითა და განმარტებით. წინასწარის ხელის მოწერით წიგნი ეღირება **ათ შაურად.**

ხელის-მოწერა შეიძლება ტფილისს:—წერა-კითხვის გამ. საზ. და „ცოდნა"-ს წიგნ. მაღაზიაში; ქუთაისს:—„კოლხიდის" რედაქციაში, მთავრიშვილის წიგნის მაღაზ. და კანტ. „იმერეთში". ბათომს—ნ. ა. საბაშვილთან; ფოთს—ი. კოხრეიძესთან; ყვირილას—წიგნის მაღაზიებში. (თ. 1044.13)

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10. ტელეფ. 792. (თ. 100—1534—82)

**ამ წლის პირველ თებერვლიდან ქ. ქუთაისში გამოდის ყოველდღიური ქართული გაზეთი**

## „ცხოვრება"

**გაზეთის ფასი:**

ერთი წლით . . 7 მან.
ნახევარი წლით . 4 „
სამი თვით . . 2 „ 50 კაპ.
ერთ თვით ქუთაისში 80 კაპ.
„ „ ქუთაისს გარეთ 90 „
საზღვარ-გარედ ერთი წ. 14 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაურად.

**განცხადების ფასი:**

პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი . . . . 15 კაპ.
უკანასკნელ გვერდზე . . . . . . . . . . 10 კ.
სამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა . 3 მან.

რედაქტორ-გამომცემელი **ბ. ჯულაყიძე.**

დროებითი ადრესი: Кутаисъ. Александровская ул. д. № 6. Савелію Трифоновичу Горгодзе.

ფული მიიღება **მხოლოდ** გორგოძის სახელზე. (7—1078—4)

### საჯირითო მოედანი (დიდუბე).

**ოთხშაბათს, 1 თებერვალს, დანიშნულია** ფრენა **„ფარმანის" სისტემის ჰაეროპლანით.**

**ცნობილ რუს-მფრინავთა** სრულიად რუსეთის საიმპერატორო ჰაერო-კლუბის პილოტ-ავიატორთა 1) ს.-პეტერბურგ-მოსკოვის პირველ გაჯიბრებაში პირველ საჩუქრად აქვს მიღებული (მგზავრიც გაიყოლა), საპატიო ფიალა კიევში არსებულ ფრენის საზოგადოებისაგან—**ა. ა. აგოფანოვს.** 2) შეფ-პილოტი გამაიუნის მფრინავ-საზოგადოებისა—**პ. ვ. ევსიუკოვი.** 3) პეტერბურგ-მოსკოვს შუაფრენაში მონაწილე—**ვ. ვ. სლიუსარენკო.** 4) პირველი **რუსი-ქალი** პილოტ-ავიატორი—**ლ. ბ. ზვერევისა.**

თუ უამინდობამ ხელი შეუშალა, ფრენა მეორე დღისათვის გადაიდება.—:—ვისაც ფრენის პირველ დღისათვის ბილეთი აღებული ექნება, თუ ფრენა გადაიდო, მეორე დღესაც გამოდგება.—:—ქალაქის თვალსაჩინო ადგილებში გამოჰკიდებენ ბაირაღებს: **ნარინჯის ფერსა** რომ ფრენა შესდგება, ლურჯი—თუ ფრენა გადაიდო. **დაუკრავს სამხედრო ორკესტრი.** ბილეთებიიყიდება შუადღის 12 საათიდან საჯირითო მოედნის კასაში. ფრენა დაიწყება ნაშუადღევის 3 საათზე. ადგილების ფასები: ლიტ. ლოჟა 15მ. ჩვეულ. ლოჟა 10 მ. 1 ადგილი 3 მ. 2 ადგილი 2 მ. 3 ადგილი 1 მ. შეგირდებისათვის 35 კ. შესასვლელი 50 კ. ქანდარა 25 კ. (1—222—1)

## ქართული თეატრი

**საყველიერო რეპერტუარი. პარასკევს, 3 თებერვალს**

**დილით (12½ საათზე)**

**წითელი ქუდი**

საბავშვო ზღაპარი. ორკესტრით, სიმღერით და სხვა.

**ფასები დაკლებულია**

**საღამოთი (8 საათზე)**

ვასო და ტასო აბაშიძეთა მონაწილეობით

**მეჯლისი იტალიელებითურთ**

ოპერეტა 1 მოქ. ოფენ-ბარისა, თარგ. ვ. აბაშიძისა.

II

**რაც არ მერგება, არ შემერგება**

კომ. 1 მოქ. ვ. გუნიასი.

**ფასები ჩვეულებრივია**

წარმოდგენის შემდეგ იაფი **ლოტო.**

**შაბათს, 4 თებერვალს**

**დილით (12½ საათზე)**

ვლ. ალექსი-მესხიშვილისა და კ. ყიფიანის მონაწილეობით

**სამშობლო,**

ისტორ. დრ. 5 მოქ. დ. ერისთავისა.

**ფასები დაკლებულია.**

**საღამოთი (8 საათზე)**

ელ. თარხნიშვილისა და ივ. სარაჯიშვილის და ბროჯის მონაწილეობით დრამატ. საზოგადოების თანხის გასაძლიერებლად

**რიგოლეტო**

**ნ. გ. ქართველიშვილის ლოტბარობით.**

**კვირას, 5 თებერვალს.**

სეზონის დასამთავრებლად უკანასკნელი წარმოდგენა.

დილით (12½ საათზე)

ვლ. მესხიშვილის მონაწილეობით

**ყაჩაღები**

ტრ. 5 მოქ. შილლერისა, ფასები დაკლებულია.

საღამოთი (8 საათზე)

**ვასო** და **ტასო** აბაშიძეთა მონაწილეობით.

**ალლუმი**

მხიარული კომედია 4 მოქ. ვ. გუნიასი. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. წარმოდგენის შემდეგ **იაფი ლოტო.**

მთავარი რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.**

ადმინისტრაცია ქართ. დრ. საზოგ. ( —223 1)

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

**ვლ. ალექსი-მესხიშვილის ბენეფისი.**

**ხუთშაბათს, 2 თებერვალს,**

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

პირველად ცნობილი პიესა ჰაუპტმანისა:

## დაძირული ზარი,

დრამა-ზღაპარი 5 მოქმედ. თარგ. ინ-ანისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ამირაჯიბი, დავითაშვილი, ვიქტორელი, პიერეტა, ქილარჯიშვილი; ბ-ნნი: **ალექსი-მესხიშვილი**, არადელი, გუნია, გვარაძე, მატარაძე, მგალობლიშვილი და სხვ. ✦ ადგილების ფასი საბენეფისოა. **დასაწყისი სალ. 8 ს.**

(2.218.1) რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.** ✦ **ქართ. დრ. საზოგ. ადმინისტ.**

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.**

**კვირას, 5 თებერვალს, გ. იორდანაშვილი** გამართავს

## სალიტერატურო დილას

**სამს განყოფილებად:**

**. სარგის კაკაბაძე** წაიკითხავს ლექციას შემდეგს თემაზე:

**თამარ მეფე და მისი მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში.**

II და III: **სცენები, სიმღერები, ლექსები, კუპლეტები** და **მოთხრობა.**

**ქართველ მომღერალთა გუნდი ქულაჯებში გამოწყობილი, გ. კაპანაძის ლოტბარობით შეასრულებს ქართულ სიმღერებს.**

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ნ. დავითაშვილი და ე. ჩერქეზიშვილი; ბ-ნნი: ბ. ახოსპირელი, გ. ახრახაძე, ნ. გოცირიძე, ნ. გვარაძე, ი. ივანიძე, გ. იორდანიშვილი, გ. იმნაძე, ვ. მატარაძე, შ. საფაროვი და საგირაშვილი (დაუკრავს თარზე) დასასრულ ქ-ნი **ჩერქეზიშვილისა** და **თ-დი ციციშვილი გლეხურად იცეკვავენ ლეკურს.**

(3-220.1) ადგილების ფასი 5—50 კ.-დე. **დასაწყ. შუადღ.** 1 ს. გამგე **ი. ჟივიძ.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
**მალლაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.

**ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.
**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
**ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.

**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.

**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.

**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman- რჩევისათვისა 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კაცეტერიზაცია; **„606" წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1010—258)

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

მიიღებს ავადმყოფებს დილის 10 2 ს.-მდე და საღამოს 5 7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **ძაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 9-12 ს. საღამოთი 3-6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ, 1660.27)

### ვასწავლი

**ქართულ სიმღერა-გალობას**

ვ ვადგენ ქართულ მომღერალთა გუნდს.

**ორშაბათობით** ) **ოთხშაბათობით** ( **4 ს.—6 საათამდე.**
**შაბათობით . . .** ) **კვირაობით . . .** ( **2 ს.—4 საათამდე.**

მიიღებიან მოწაფეებიც და მუშებიც, იკითხეთ მიხეილ კავსაძესთან. ავჭალის ქ. № 29. სამოქალაქო სკოლის შენობაში. (6—1080—3)

ხელის მოწერა ჟურნალ

**წელიწადი მეოთხე.** **„მოსავალზე"** **წელიწადი მეოთხე**

**მიიღება 1912 წლისათვის მარტო ტფილისში.**

ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. ეღირება წლიურად 3 მანეთად. რედაქცია ეცდება შეძლებისდაგვარად უფრო ძვირფასი პრემია მიაწოდოს წლის თავზე ჟურნალის ხელის მომწერლებს. (3.1086.1)

**ექიმი** **გ. მ. ღოღობერიძე** იღებს ავადმყოფებს საღამოობით 4—6 საათ. წამლობა ფოსფაციდით. კირპიჩნის შესახვევი, სახლი სვიმონოვისა, № 16, ტელ. 693. (თ--1657--30)

**ექიმი** **ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5--7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

**ექიმი** **შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.--6½ საათ. კახეთის ქ., №

**ექიმი** **ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს თვალის ავადმყოფთ ყოველ დღე დილ. 9--11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

**ექიმი** **ე. ვაშაკიძე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი 5--7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—39).

**ექიმი** **პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქარები). ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12 ს. საღამოს 5--7. (25.899.52).

**ექიმი** **ე. ი. მინასიანცი** შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Muthien-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067. (100—1117—88).

**ექიმი** **ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყოფობას. **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

ავადმყოფთა მიღება ნაშუადღევის 3—5½ საათამდე, **ელისაბედის ქუჩა**, № 94, საფოსტო განყოფილების პირდაპირ. (თ.—183—15)

### საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი**, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 224)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**. ბა. პოპოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძები გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა 606 -** (წლ. 1090 26)

**დოქტორი მედიცინისა**

## ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5--7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა. ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1591 96)

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

### მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ. 1249 68).


## ტფილისი, 1 თებერვალი

**სადღესასწაულო კონცერტი.** სიმღერა და მუსიკა ყოველთვის განვითარების ერთი უდიდესი ფაქტორთაგანი ყოფილა. მუსიკა არის გამოხატულება სულიერ ცხოვრებისა, იგივეა **საშუალება** მისი განვითარებისა. გრძნობა ესთეტიურ ტკბობისა განუყოფელი ნაწილი ადამიანის მრავალ მხრივი სულიერ ცხოვრებისა, ერთნაირის სიძლიერით იჩენს თავს როგორც პირველ-ყოფილ, ისე თანამედროვე ადამიანში. იცვლება მხოლოდ თვისებითი მხარე ესთეტიურ ტკბობისა და არა ინტენსივობა, სიძლიერე. ხელოვნება საზოგადოდ და კერძოდ კი მუსიკა უნივერსალურ ხასიათისაა, მაგრამ იგი ეროვნულ ფარგლე-

ბში ვითარდება და ამიტომ ეროვნულ ელფერსაც იღებს. სწორედ ამიტომაა რომ მუსიკა ეროვნულ განვითარებისა და გათვითცნობიერების უმთავრეს ფაქტორადაც გადაიქცევა ხოლმე.

სიმღერას, როგორც მრავლად შენახულ სახალხო ჰანგებიდანა სჩანს, ქართულს ისტორიულ წარსულში დიდი მნიშვნელობა ჰქონია. ქართველ ხალხის სულის-კვეთება, ბუნება, ხასიათი, ეთნოგრაფიული თავისებურება ალბეჭდილა იმ მრავალფეროვან სიმღერებში, რომელნიც უხვადაა გაფანტული საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში. თანდათან, ცხოვრების ახალ პირობების ზეგავლენით, ამ სიმღერებს თავიანთ პირველ-ყოფილი, პრიმიტიული სიწმინდე ეკარგება და უცხო ჰანგების გამრყვნელ გავლენას განიცდის. ეს გარემოება ჩვენს თაობას ორ-ნაირ მახლობელ მიზანს უსახავს. ჩვენმა თაობამ უნდა **შეკრიფოს, შეინახოს** ეს სიმღერები, გადაიტანოს ქაღალდზე და მერე ეს ნედლი მასალა **გადაამუშაოს** იგი ისე, როგორც თანამედროვე მუსიკის განვითარებული ტეხნიკა მოითხოვს. ეს ორი მიზანი ერთი მეორესთან მჭიდროდაა დაკავშირებული, იმდენად მჭიდროდ, რომ მეორე ფატალურის აუცილებლობით გამომდინარეობს პირველისაგან.

პროცესი ქართულ ხალხურ სიმღერების შეგროვებისა და შენახვისა დიდი ხანია დაიწყო. განსვენებული ლადო აღნიაშვილი ერთი იმათგანი იყო, რომელმაც გაითვალისწინა ამ საქმის მნიშვნელობა და ენერგიულად შეუდგა ქართულ ხალხურ სიმღერების შეგროვებისა და გავრცელებას. მას შემდეგ ეს პროცესი არ შეჩერებულა. სუსტად, მაგრამ მაინც სისტემატიურად ჩვენი მემუსიკენი სცდილობდნენ განეგრძოთ ლადო აღნიაშვილის მიერ ნაანდერძევი საქმე. დღეს იმავ მიზანს, რომელსაც კერძო პირნი ემსახურებოდნენ, ასრულებს განსაკუთრებული დაწესებულება—ქართულ საფილარმონიო საზოგადოება. ამ საზოგადოების უმთავრეს მიზანს შეადგენს ქართულ ხალხურ სიმღერების შეკრეფა და მათი ქაღალდზე ალბეჭდვა. მაგრამ იგი მარტო ამ ერთი მიზნით არა კმაყოფილდება. მას საჭიროდ მიაჩნია ქართულ მუსიკის, ასე ვთქვათ, გაევროპიელება, მისი ჩამოყალიბება ევროპის მიერ შემუშავებულ განვითარებულ ჩარჩოებში.

საფილარმონიო საზოგადოების მიერ განზრახული სადღესასწაულო კონცერტიც დემონსტრაცია უნდა იყოს ამ ორი მიზნისა. ჩვენში, საუბედუროდ, იუბილეიებს ყოველთვის მწუხარების ელფერი გადაჰკრავს ხოლმე. ვმართავთ იუბილეიებს და ამით თითქოს უკანასკნელ სალამოს ვაძლევთ იუბილიარებს. განზრახული საიუბილეიო კონცერტი სულ სხვა ხასიათისა უნდა იყოს. მასში უნდა აღიბეჭდოს არა მხოლოდ ის, რაც იყო, არამედ ის რაც ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში გაკეთდა. საფილარმონიო საზოგადოების მიერ განზრახულმა კონცერტ^ა უნდა დაგვანახოს, რომ ლადო აღნიაშვილის მიერ ნაანდერძევი საქმე არ მომკვდარა, რომ მის მიერ დატოვებულ განძს ღირსეული მემკვიდრენი გამოუჩნდნენ. ეს კონცერტი უნდა იყოს შემასწავებელი და მაჩვენებელი ჩვენი განვითარებისა, ჩვენი წინმსვლელობისა. საუკეთესო აღნიშვნა და პატივისცემა ლადო აღნიაშვილისა და მის შემდგომ მოღვაწეთა ეს იქნება. ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლიან სიამოვნებით არ მივეგებოთ იმ დადგენილებასაც, რომ წმინდა შემოსავალი ამ კონცერტისა მოხმარდეს ქართულ ორიგინალურ დიდს სამუსიკო ნაწარმოების დაჯილდოვებას.

განზრახული კონცერტი დიდმნიშვნელოვანი კულტურული დღესასწაული იქნება, ამიტომ თვითეულმა ქართველმა, რომელსაც კი ქართულ მუსიკის განვითარებისთვის გული შესტკივა, თავის ზნეობრივ ვალად უნდა დაისახოს, დაეხმაროს ამ საქმეს და ყოველი ღონე იხმაროს, რომ კონცერტი რაც შეძლება კარგი და მომენტის შესაფერი გამოვიდეს.

ცოტა მემუსიკენი გვყავან, მაგრამ მათი შეერთებული, შეთანხმებული მოქმედებაც საკმარისია, რომ საქმე კარგად დაგვირგვინდეს.

# სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები.

**თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.** განაგრძობენ კიევის ებრაელებისათვის უკანონოდ სავაჭრო მოწმობის მიცემის საკითხის განხილვას.

**ტიმოშკინი** კიევის მცხოვრებთა დეპეშას კითხულობს. ებრაელებმა შეგვჭამეს და სათათბირომ რუსის ხალხის გასაჭირს ყურადღება უნდა მიაქციოსო.

**ლუჩიცკი.** შეკითხვის სწრაფად განხილვის წინაალმდეგია, შეკითხვას არა აქვს იურიდიული ხასიათი. შემდეგ ლუჩიცკი შეეხო კიევის ხაზინის მმართველს აფანასიევს, იგი პატიოსანი ადამიანია და ხაზინის შემოსავლის გაძლიერებასა სცდილობსო. შეკითხვის ავტორნი რუსის ხალხის ინტერესების დამცველნი კი არ არიან, ერთი მუჭა ვაჭრების ინტერესები ალაპარაკებთო. შემკითხველები ამბობენ, მთავრობამ 68 მუხლი დაარღვიაო. მეხუთე მუხლი ამბობს, კიევში ებრაელ ვაჭრებს ბინადრობის ნება აქვთო.

**ზამისლოვსკი.** მეხუთე მუხლი ბინადრობის უფლებაზე ლაპარაკობს და არა ვაჭრობისასაო. სწრაფ განხილვის საჭიროება უარჰყვეს 104 ხმით 74 წინააღმდეგ და შეკითხვა კომისიას გადასცეს.

საიდუმლო სხდომაზე განაგრძეს სამხედრო ბეგრის მოსახდელ წესდების ცვლილებათა პროექტის განხილვა· კამათი გამოიწვია ოცდა მეთვრამეტე მუხლმა.

**შინგარიოვმა და სინადინომ** შეიტანეს შესწორება, რის ძალითაც მედიცინის დოქტორებსა, საექიმო ან ფარმაცის მეცნიერებათა მაგისტრებს და ბეთლებს სამხედრო სამსახურში მიიღებენ იმ სამსახურის ასასრულებლად, რაც მათ სპეციალობას შეადგენს ჲ ეს მიღება უნდა მოხდეს ჯარში ჩარიცხვის დამოუკიდებლად. 87 ხმით 81 წინააღმდეგ შესწორებანი მიიღეს.

რამდენიმე მუხლი უკამათოდ მიიღეს. ორმოც და მეოთხე მუხლში ნახსენებია ისეთი პირნი, რომელნიც სრულიად განთავისუფლებულნი უნდა იყვნენ სამსახურიდან. ესენი არიან: ქრისტიანთა სამღვდელოება, სტაროობრიადცებისა და სექტანტების სამღვდელოება, აკადემიკოსები, პროფესორები, პრივატ-დოცენტები მთავრობის სტიპენდიანტები, საზღვარ-გარედ გაგზავნილნი საპროფესოროდ მომზადებისთვის და ისინიც, ვისაც უნივერსიტეტთან დასტოვებენ.

**სირტლანოვი** მოითხოვს სამხედრო სამსახურთან მაჰმადიანთა სამღვდელოების განთავისუფლებას. მას ემხრობა **დმიტრიევი.** **შინგარიოვი** მოითხოვს სახალხო სკოლების მასწავლებელთა სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებას, აგრეთვე საჭიროა არა-ქრისტიანთა სამღვდელოების განთავისუფლებაცაო. შინგარიოვს ემხრობა **ვორონკოვი.**

**ბარონი ჩერკასოვი** წინააღმდეგია შესწორებისა.

ორმოცდა მეოთხე მუხლი მიიღეს მაჰმადიანთა ფრაქციის დამატებით. სხვა შესწორებანი უარჰყვეს. ორმოცდამეხუთე მუხლი განსაზღვრავს, რანაირად უნდა სწარმოებდეს არა ქრისტიანთა სარწმუნოების სამღვდელო პირთა თანამდებობის გამორკვევა სამსახურიდან განთავისუფლებისთვის.

**შინგარიოვი.** საჭიროა იმ ქრისტიანთათვის, ვისაც შეუძლებლად მიაჩნია იარაღის ტარება, განსაკუთრებული რამე დავაწესოთ, როგორც, მაგალითად, მენონიტებსა აქვთ, ვინაიდან ძალიან იტანჯება ადამიანი, როდესაც თავისი რწმენის წინააღმდეგ ამოქმედებენ, რადგანაც მისი ვნება ორად იყოფაო.

**კლოჩკოვი** წინააღმდეგია შინგარიოვის წინადადებისა. თუ სექტანტების თაობაზე ლაპარაკობდა, შეუძლებელია მათი განთავისუფლება, რადგან ყველა ქრისტიანს შეუძლიან სთქვას: იარაღის ხელში აღება არ შემიძლიანო.

**ჩერკასოვი** წინააღმდეგია შინგარიოვის წინადადებისა.

**კამენსკის** შინგარიოვის წინადადება მოსწონს, მაგრამ დასძენს: შეუძლებელია გაიგოს ადამიანმა, გულწრფელად იქცევა თუ არა ადამიანი, როდესაც უარს იტყვის და სამხედრო სამსახურს არ მოისურვებსო. ამისთანა შემთხვევის თავიდან ასაცილებლად ისინი სხვა სამსახურში უნდა მივიღოთ და ორჯერ მეტი ვადა დავაწესოთ სამსახურისაო.

**როდიჩევი** შინგარიოვის წინადადების მომხრეა.

**მომხსენებელი პროტოპოპოვი** წინააღმდეგია ყოველგვარ შესწორებისა.

ყველა შესწორებანი უარჰყვეს და ორმოც და მეხუთე მუხლი კომისიის რედაქციით მიიღეს.

თითქმის უკამათოდ მიიღეს რამდენიმე მუხლი, ვიდრე ორმოცდამეთოთხმეტემდე.

**სალამოს სხდომა.**

**თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.**

**ნეკრასოვი** კითხულობს მოხსენებას ციმბირის გუბერნიაში ერობის შემოღების თაობაზე და სათათბიროს წინადადებას აძლევს მუხლობრივი განხილვას შეუდგნენ.

**ადგილობრივ მეურნეობის მთავარ გამგეობის უფროსი ანციფეროვი.** ციმბირის გუბერნიებში შეუძლებელია 1890 წლის ტიპის ერობის შემოღება ამიტომ ჩვენი უწყება არ მიიღებს მონაწილეობას მუხლობრივ განხილვაში.

**ჩხეიძე.** ქვეყანაზე ყველაფერს სჯობია კარგი ერობა, მაგრამ უფრო უკეთესია კადეტის სიტყვაო. შინგარიოვმა გენიოსურის შორს მჭვრეტელობით დაახასიათა ჩვენი დროება თავის სასტორიო სიტყვით, რომელიც ასტრახნის ერობისა თაობაზე წარმოსთქვა. შინგარიოვმა ძალიან მშვენიერად დაამტკიცა, ეხლანდელი ერობის უვარგისობა. მხოლოდ შინგარიოვის სიტყვის შემდეგ შევიგნეთ მე და ჩემმა ამხანაგებმაო, დასძენს ჩხეიძე, რომ „სულ არარაობას ცალ უღელა ხარი სჯობიაო". განა არა სჯობია ქაღალდზე დაწერილი კონსტიტუცია და ლეშად გადაქცეული მანიფესტი, ვიდრე ამ ლეშის სრული უქონლობა? განა სრულს უწესობას განსაკუთრებული წესები არა სჯობია? განა კულიბაკის დაცვა არა სჯობია, სრულიად უმწეოდ ყოფნას? (ტაშის ცემა და სიცილია). მართლაც და სასაცილონი არიან ისინი, ვისაც ამისთანა დროსაც კი ვერ დაუვიწყნიათ დამფუძნებელი კრება, რესპუბლიკა, საყოველთაო საარჩევნო უფლება და სხვა. ბოლოს ორატორი კადეტებს მიჰმართავს: მეორეჯერ აღარ ინატროთ ჩვენი აქ ყოფნა, თუმცა კავკასია ეხლა კადეტებს უღიმის (?). (მემარცხენენი ტაშს უკრავენ).

**ვოლკოვი.** ციმბირის წარმომადგენლებმა კარგად ვიცით 1890 წ. ტიპის ერობის ნაკლი, მაგრამ სულ არაფერს ეგა სჯობიან, ერობა, რაც უნდა იყოს, ციმბირის სიმდიდრეს ადმინისტრაციაზე უკედ მოუვლის.

**შინგარიოვი.** მთავრობამ ბოიკოტი გამოუცხადა კანონპროექტს და სიტყვა: „არა მსურსო". რაც შეეხება ჩხეიძეს, მართლაც არჩევენი მოახლოვდა: საჭიროა კადეტების საწინააღმდეგო სიტყვის დაბეჭდვა და მათი ბურჟუობის გამოაშკარავება, ერობის წინააღმდეგ ხმის მიცემა კი მაინც შეუძლებელია. (კადეტები ტაშს უკრავენ).

**ჩელიკინი.** ციმბირელნი 30 წელიწადია ერობის მოლოდინში არიან.

მიიღეს მუხლობრივ განხილვის წინადადება და შემდეგ უკამათოდ თვით კანონ-პროექტიც.

**ეფრემოვმა** წაიკითხა მოხსენება დონის ოლქში ერობის შემოღების თაობაზე.

საჭიროდ აღიარეს კანონ-პროექტის მუხლობრივ განიხილვა მემარჯვენეთა ნაწილის და ნაციონალისტების წინააღმდეგ. შემდეგ თვით კანონ პროექტიც უკამათოდ მიიღეს.

სათათბირომ უკამათოდ მიიღო ზოგიერთ დაწესებულებათა ვალის პატიების კანონ-პროექტი.

შემდეგი სხდომა ოთხშაბათს მოხდება.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **საგეოგრაფიო საზოგადოების** კრება 1 თებერვალს მოხდება ნამესტნიკის კანცელარიის დარბაზში.

✦ **სადღესასწაულო კონცერტი.** ორშაბათს საფილარმონიო საზოგადოების სკოლის სადგომში მოხდა მეორე კრება საზოგადოების გამგეობისა, კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა და პრესის წარმომადგენლებისა. კრებამ თათბირი იქონია კონცერტის პროგრამაზე და დაადგინა, შესდგეს იგი სამ განყოფილებისაგან. პირველ განყოფილებაში, შეძლებისდაგვარად უნდა აღდგენილ იქმნას პირველი კონცერტის პროგრამა იმ სახით, როგორც 25 წლის წინად განსვენებულ ლადო აღნიაშვილის ინიციატივით გაიმართა. მეორე და მესამე განყოფილებაში კი უნდა შესრულდეს თანამედროვე ნაწარმოებნი ქართველ კომპოზიტორებისა და იმ არა ქართველებისა, რომელთაც ქართულ მუსიკაში თავისი წვლილი შეუტანიათ. ამას გარდა, კრებამ გამოსთქვა სურვილი და დაადგინა, ამ სადღესასწაულო კონცერტის წმინდა შემოსავალი მოხმარდეს ქართულ ორიგინალურ დიდ სამუსიკო ნაწარმოების დაჯილდოვებას.

✦ **ქალაქის საბჭოს საუნივერსიტეტო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ ხმოსნები;** თავ. გ. მ. თუმანოვი, გ. ზ. თამამშევი, ა. ფ. ფრიდონოვი, ი. ი. მინკევიჩი, ა. ნ. მილოვი, მ. ვ. ლუნკევიჩი, პ. ა. გოთუა, ბალაგიანი, ა. ს. ბაზოვი და ს. გ. ალდადანოვი.

✦ **ქალაქის საბჭოს საბალნეოლოგო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ** ხმოსნები; მ. ზ. ავთანდილოვი, ს. თ. ჰრელაშვილი, თ. ს. ხუნწარი, თავ. პ. ი. თუმანიშვილი, ა. მ. ტერტეროვი, [illegible] ფრიდონოვი, ბ. ა. პოპოვი, მ. ს. ნეპრინ[illegible] [illegible] მილოვი, მ. ვ. ლუნკევიჩი, პ. მ. დოლუხანოვი, ე. ფ. ჯაგანოვი, მ. ნ. ვესელოვზოროვი, ქიარიმ-ბეგ ვექილოვი, გ. ი. ბარტი, ს. ა. ბალაგიანი და ბ. ლ. არუთინოვი.

✦ **ქალაქის ლომბარდის** გამგედ არჩეულ იქმნა ისევ ასლამაზოვი, რომელიც ამ ადგილზე აგერ ოცი წელიწადია მსახურებს.

✦ **ახალ შეფასების გამო აღძრულ საჩივრების განმხილველმა ქალაქის საბჭოს კომისიამ** უკვე განაწილა სამუშაო და საჩივრების საფუძვლიანობის გამორკვევას ადგილობრივ შეუდგა, საჩივარი 1000-დეა. კომისიის თვითეულმა წევრმა (სულ 12 წევრია) ქალაქის თითო საპოლიციო უბანი აიღო. როგორც გავიგეთ, ბევრი საჩივარი საფუძვლიანი აღმოჩენილა.

✦ **ფრენა.** დღეს დიდუბის საჯირითო მოედანზე ფრენა გაიმართება, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ შემდეგნი მფრინავნი: ა. ა. აგაფონოვი, პ. ვ. ევსიუკოვი, ვ. ვ. სლიუსარენკო და რუსეთის პირველი მფრინავი ქალი ლ. ვ. ზვერევისა. ფრენა ნაშუადღევის 3 საათზე დაიწყება.

✦ ნამესტნიკის კანცელარიას წარედგინა **შუამდგომლობა** ხონის მცხოვრებ კონსტანტინე კაკაბაძისა, რომელსაც განუზრახავს ქუთაისსა და ხონს შუა და სამტრედიასა და ხონს შუა ავტომობილები ამუშაოს.

✦ **კოჯრის გზა.** როგორც მკითხველთ იციან ტფილისიდან კოჯრამდე რკინის გზა გაჰყავთ. გზამ სხვათა შორის, მაჰმადიანთა სასაფლაოზე უნდა გაიაროს. ახლა გამოირკვა, რომ მაჰმადიანთა სამღვდელოება გადაჭრით უარს ამბობს სასაფლაოს მიწის გაყიდვაზე. ამის გამო საქმის მეთაურებმა გადასწყვიტეს, აღძრან შუამდგომლობა, რათა ადგილი იძულებით ჩამოერთვას.

✦ წელს **მოსწავლეებს დიდმარხვის პირველ კვირას აღარ დაითხოვენ საზიარებლად,** თანახმად კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებისა. საზიარებლად მოსწავლეებს ვნების კვირაში დაითხოვენ.

✦ **ჟურ. „მოსავალი".** რედაქციამ მიიღო სამეურნეო ჟურნალ „მოსავალი"-ს იანვრის (1) ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია შემდეგი წერილები: 1). **სანატრელი ქვეყანა** (გარვუდის თხზულებიდან), ვ. რცხილაძისა, 2) **უცხოეთის კაპიტალი სამეგრელოში,** ღ. ღ—მისა, 3) ხეხილის გასხვლის სხვა და სხვა დანიშნულება და 4) **კვება და საკვებავები** (თარგმანი) პროფ. გენრისა.

✦ **ა. ყაზბეგის მოთხრობა „მამის მკვლელი"** ნიკ. დიმ. ყაზბეგს რუსულად უთარგმნია ჲ ამ ჟამად უკვე იბეჭდება კავკავის რუსულს გაზეთ „ვლადიკავკაზსკი ლისტოკ"-ში.

# კოოპერაციის მნიშვნელობა სასოფლო მეურნეობაში

წვრილ მეურნესათვის საჭიროა ნედლი მასალის გადამუშავება, ბაზარზე გატანა და სხვ. გარდა ამისა თანამედროვე ინტენსიური მეურნეობის დროს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მიწის განოყივრება, საუკეთესო თესლის შეძენა და კიდევ ბევრი რამ სხვა, რაც განცალკევებულ წვრილ მეურნესათვის შეუძლებელია. აი სწორედ ამ შემთხვევაში წვრილ მეურნეს ეხმარება საკრედიტო კოოპერაცია.

საკრედიტო კოოპერაციას პირველი ადგილი უჭირავს სხვა გვარ კოოპერაციათა შორის იმიტომ რო თანამედროვე კაპიტალისტურ წესწყობილებაში კოოპერაციის სხვა ყველა ფორმებს მნიშვნელობა ეძლევათ მხოლოდ კრედიტის წყალობით. მართლაც ჲ ძნელია, მაგალითად, მოაწყოთ სამაგალითო ერბოს სახდელი ქარხანა, თუ ამისათვის საჭირო კაპიტალი არა გაქვთ. კოოპერატიულ ამხანაგობათა საპაიო გადასახადები საჭირო ჯამს ვერ შეადგენენ, რადგანაც პირველ ხანებში ახლად დაარსებულ საამხანაგო კოოპერაციაში საკმარისი რიცხვი წევრებისა არ შევლენ. მხოლოდ, როდესაც საყოველთაოდ თვალსაჩინო შეიქნება ამ გვარი ამხანაგობის სარგებლიანობა, მაშინ მრავალნი ეწერებიან წევრებად. საკრედიტო კასების დიდი მნიშვნელობის შესახებ ლეპესი ამბობს შემდეგს: „ბევრმა გლეხმა არ იცის, რომ სამხრეთ საფრანგეთში სასოფლო კოოპერაციების განვითარების ერთ ერთ მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალონ საკრედიტო კასები, საფრანგეთის ბანკის პრივილეგიების განახლება დროს პარლამენტმა მისი მოგებიდგან საკრედიტო კოოპერაციების კასების სუბსიდად რამოდენიმე მილიონი გადასდო. როდესაც მოსავალს კარგი პირი უჩანს, კასები წევრებს სესხად აძლევენ საჭირო ფულს".

ამ ნაირად საკრედიტო ასოციაცია წარმოადგენს იმ წყაროს, საიდანაც საბავეს იღებენ და მომდინარეობენ სხვა და სხვა საწარმოვო ასოციაციები; ის არის მამოძრავებელი ძალა, რომელიც წვრილ მესაკუთრეს აძლევს აუცილებელ საჭირო კაპიტალს, ნატურალურ წარმოების დროს სოფლის მეურნენი არავითარ შევიწროებას არა ჰგრძნობდნენ მაგრამ მე-19-ე საუკუნის ნახევრიდან გაუმჯობესებულ წარმოების ფორმების შემოღების და კონკურენციის გაჩენისათანავე სოფლის მეურნემ იგრძნო მეურნეობაში დასაბანდებელ კაპიტალის საჭიროება, მისი აუცილებლობა. თავის თავად ცხადია, მსხვილ მეურნეებს გაუჭირებლად შეეძლოთ საჭირო კაპიტალის შოვნა. წვრილი მესაკუთრენი კი ხელში უვარდებოდნენ სოფლის მევახშეებს. აი ამიტომაც საკრედიტო ასოციაციების დაარსებამდე გერმანიაში და სხვა ქვეყნებშიც ძალიან იყო გავრცელებული მევახშეობა და მასთან ერთად ანტისემიტიზმიც, რადგანაც მევახშეებად მეტ ნაწილად ებრაელები იყვნენ. საქართველოს სოფლებიც დღეს შეუბრალებელ მევახშეების ბასრ კლანჭებში არიან მოქცეულნი. ჩვენში მევახშეები ფულს აძლევენ გლეხებს 25%—50% და ხშირად 100%-თაც.

უმთავრესი მიზანი საკრედიტო კოოპერაციებისა არის წევრებისათვის თავის დროზე საჭირო კაპიტალის მიწოდება მეურნეობის რაციონალურად წარმოებისათვის. მაგრამ მათი მოქმედება მხოლოდ ამითი არ განისაზღვრება. ამ გვარი საკრედიტო კოოპერაციები საშუალებას აძლევენ თავის წევრებს სულ ადვილად შეიძინონ უძრავ-მოძრავი ქონება. ამის დასამტკიცებელ მაგალითს ჩვენ ვხედავთ რაიფეიზენის თანამედროვე საკრედიტო ამხანაგობის წესდების ერთ მუხლიდან, რომლის ძალითაც ამხანაგობა იძენს უძრავ ქონების ნასყიდობის ქაღალდებს. ამხანაგობა ყიდულობს გამყიდველისაგან გასაყიდ უძრავ ქონების ნასყიდობის ქაღალდს და გამყიდველს აძლევს ფულს სრულიად, ან ნაწილ ნაწილად. ამ ნაირად გამყიდველი კმაყოფილი რჩება; მის და მყიდველის შორის ყოველივე დამოკიდებულება ისპობა. მსყიდველი კი მოვალე ხდება ამხანაგობისა, რამდენიმე წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილად იხდის თავის ვალს და ამნაირად თავიდან იცილებს ვალის აღებას მევახშისაგან.

კრედიტს აქვს დიდი მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ, როდესაც მას საწარმოვო მიზნით იღებენ. ხშირად გლეხი ვალს იღებს თავის მეურნეობისათვის კი არა, არამედ სულ სხვა საჭიროებისათვის, როგორც ეს რუსეთში ხდებოდა პირველ ხანებში. ამის გამო საკრედიტო ამხანაგობანი აძლევენ კრედიტს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ვალის ამღები სანდო პირია და აღებულს ფულს სამეურნეო საჭიროებას მოახმარებს. ზოგი ამხანაგობანი, მაგალითად რაიფეიზენის ამხანაგობა თავის წევრებს საშუალებას აძლევენ მუდამ ჟამს საჭირო ვალი აიღონ და ფულიც შეიტანონ შესანახად. გარდა ამისა ამხანაგობანი აძენინებენ თავის წევრებს საჭირო საგნებს მეურნეობისათვის, იკვეთავენ თავის ხარჯით სამეურნეო მანქანებს, ყიდულობენ საუკეთესო ჯიშის პირუტყვ საქონელს და თავის წევრებს აძლევენ სასარგებლოდ განსაზღვრული ფასით. სხვათა შორის, არსებობს განსაკუთრებული ფორმა ფულის სესხისა, რომელიც ძალიან არის გავრცელებული საფრანგეთსა და იტალიაში. მაგალითად, იტალიაში არიან ეგრედ წოდებული მოგზაური პროფესორები, რომლებიც ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიან და ყველგან ავრცელებენ მეურნეობისათვის საჭირო ცნობებს. ასეთი პროფესორები ურჩევენ გლეხებს, შეიძინონ საუკეთესო თესლი, ან მიწის გამანოყივრებელი პატივი; გლეხებიც სულ ადვილად ახერხებენ ასეთ რჩევის განხორციელებას ბანკის (ე. ი. საკრედიტო ამხანაგობის) საშუალებით. ბანკი ურიგდება ერთის მხრით სინდიკატს და მეორის მხრით პროფესორს. მეურნე გლეხი ჩქარა იძენს პროფესორის რჩევის მიხედვით გაუმჯობესებულ თესლეულობას, პატივს და სხვას სინდიკატის საწყობიდან; კრედიტს აძლევს გლეხს ბანკი, რომელიც სინდიკატს ვალად აწერს ნასყიდ საქონლის ღირებულებას.

ამნაირად, საკრედიტო კოოპერაცია წარმოადგენს ყველა სხვა გვარ კოოპერაციათა მთავარ მამოძრავებელ ძარღვს მით, რომ კრედიტის საშუალებით ახორციელებინებს მათ დასახულ მიზნებს. ესევე საკრედიტო ამხანაგობა ჰლაგმავს და ბოლოს სპობს მევახშეობას და საშუალებას აძლევს თავის წევრებს შეიძინონ საჭირო სამეურნეო იარაღები და სხვა. საკრედიტო კოოპერაციები დღეს ყველა ქვეყნებშია გავრცელებული. განსაკუთრებით განვითარდნენ ისინი გერმანიასა და იტალიაში; საფრანგეთში კი ერთის მხრივ მთავრობის და მეორე მხრივ საფრანგეთის ხალხის თავისებურ ხასიათის გამო მათ ღრმად ვერ გაიდგეს ფესვები. გერმანიაში 1905 წლის აღრიცხვით საკრედიტო ამხანაგობა იყო 13,181, საიდანაც 98 პროცენტი კავშირებად იყო შეერთებული. 1908 წ. იყო 14.675 საკრედიტო კოოპერაცია. „საყოველთაო კავშირმა", რომელიც 1904 წელს 6.464 საკრედიტო ამხანაგობას აერთებდა 543.759 წევრით 1904 წელს 597 მილ. მარკა (მარკა უდრის 47 კაპეიკს) კრედიტი მისცა თავის წევრებს. 1898 წელს იტალიის სახალხო ბანკებმა მისცეს მეურნეებს 100 მილიონი ლირი (ლირი $37^1/_2$ კაპ.) კრედიტი.

3.

**ნედლი მასალის დამმუშავებელი კოოპერაცია.**

სხვა და სხვა კოოპერაციათა შორის არსებობს აგრეთვე ნედლ მასალის დამმუშავებელი კოოპერაცია. სოფლის მეურნესაგან მოყვანილი მოსავალი საჭიროებს დამუშავებას და გაკეთებას. საუკეთესო სამეურნეო მანქანების გამოგონებამ გაადვილა და გააუმჯობესა სოფლის მეურნეობის ნაწარმოებ მასალის გადამუშავება. წვრილ მესაკუთრეს, რასაკვირველია, არ შეუძლიან შეიძინოს ყველა საჭირო სამეურნეო იარაღი; გარდა ამისა მისი მცირე ნედლი მასალის გადამუშავება ბევრ დროს და ხარჯებს მოითხოვს. ამ შემთხვევაში მას ეხმარება კოოპერაცია. ნედლი მასალა ასეთ ამხანაგობის ხელში გადადის, რომელსაც შეძენილი აქვს საჭირო სამეურნეო მანქანები და ჰყავს თავისი საქმის კარგად მცოდნე მოსამსახურეები. ამიტომაც სრულიად სამართლიანად უწოდებს მეცნიერი დავიდი ასეთ ამხანაგობებს მწარმოებელთა და არა საწარმოვო ამხანაგობებს. ამხანაგობის წევრები თვითონ არ იღებენ მონაწილეობას გადამუშავებაში; ისინი მხოლოდ ზედამხედველობენ და თავის აზრებს ავრცელებენ საზოგადო კრებების და პროპაგანდის საშუალებით. ამ გვარ ამხანაგობას ეკუთვნიან რძის გადამმუშავებელი ამხანაგობანი, რომლებიც ყველგან არიან გავრცელებულნი. თუ რა გამრავლებულია ამ გვარი ამხანაგობანი და რა დიდი სარგებლობა მოუტანეს მათ თავის წევრებს სხვა და სხვა ქვეყნებში, ამას გვიმტკიცებენ ციფრები. ასეთი ამხანაგობანი ყველაზე უფრო გავრცელებულია დანიაში. ამ პატარა ქვეყანამ, რომლის ბუნებაც მეურნეობისათვის მაინცა და მაინც

◆ **განათება და წყალი ვარაზის ხევში.** ხმოსანს ი. გ. სულაბერიძეს, ახალ შეფასების გამო აღძრულ საჩივრების გამხილველ კომისიის წევრს, რომელიც ამ ჟამად ვერაზე მუშაობს, ყურადღება მიუქცევია იმ გარემოებისთვის, რომ ვარაზის ხევის უბანში არც განათებაა და არც სასმელი წყალია, რის გამოც იქ მცხოვრებთ შორიდან უხდებათ წყლის მოტანა. ბ-ნმა სულაბერიძემ ეს ამბავი გუშინ ქალაქის გამგეობას წერილობითის განცხადებით აცნობა და წინადადება მისცა, განიხილოს საკითხი წყალითა და განათებით ამ უბნის უზრუნველყოფის შესახებ.

◆ **„ნაკადული."** რედაქციამ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის" იანვრის ნომრები: მოზრდილთათვის (№ 1) და მცირე წლოვანთათვის (№ 2).

◆ 30 იანვარს ტფილისში 30 უპასპორტო შეიპყრეს.

◆ ტფილისში შეიპყრეს გიორგი ამბარცუმას ძე აკოფიანი, რომელიც დონის-როსტოვში ადმინისტრატიულის წესით იყო გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნდა.

## საზოგადოებანი და კრებები

◆ **პირუტყვთა მფარველ საზოგადოების** საერთო კრებამ, რომელიც 29 იანვარს მოხდა, დაადგინა, საღამო გამართოს საზოგადოების ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებლად.

◆ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება 30 იანვარს მოხდა ქალაქის მოურავის მოადგილის თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის თავმჯდომარეობით, რომელმაც კრების გახსნისათანავე დაახასიათა გრაფი დ. ა. მილიუტინი და დამსწრეთ წინადადება მისცა, ფეხზე ადგომით პატივი ეცათ განსვენებულის ხსოვნისთვის, რაც შესრულებულ იქმნა· ამის შემდეგ კრებას მოხსენდა სია იმ ხმოსნებისა, რომელნიც ქალაქის საბჭოს 16, 20 და 23 იანვრის კრებებს არ დასწრებიან. კრებას მოხსენდა აგრეთვე განცხადება ა. ს. აპრიამოვისა, რომელმაც ხმოსნობას თავი დაანება. ხმოსანი პ. მ. დოლუხანოვი გამგეობას შეეკითხა: რამდენადაც ვიცი, აპრიამოვმა ბუღალტრობას თავი დაანება ავადმყოფობის მიზეზით და როგორ მოხდა, რომ ავადმყოფი და შრომის უნარ დაკარგული კაცი ისევ ბუღალტრად მიიღეთო. გ. დ. ჟურულმა უპასუხა: შრომის უნარი დაკარგული არა აქვს, ეგ სამაგალითო მუშაკია, მაგის მაგიერი ერთი თვის განმავლობაში ვერ ვიპოვეთო და ახლა, როდესაც მაგან ადგილი კვლავ ითხოვა, ჩვენ მოხარულნი ვიყავითო. კრების დასასრულს არჩევნები მოხდა. ქალაქის საბჭოს კომისიების თავმჯდომარედ არჩეულ იქმნენ: სატრამვაიო მ. ნ. ვესელოვზოროვი, სასკოლო—ი. ს. ალიხანოვი, სატყეო-საბაღოსნო—მ. ი. სვეშნიკოვი და უსახლკაროთა თავშესაფარის გამგე—ნ. ნ. ოსტროგორსკი.

◆ **საოჯახო სიების შესამოწმებლად** დღეს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის გამგეობის სადგომში კრება ექნება საგანგებო კომისიას. კრების თავმჯდომარედ იქნება თავ. ა. მ. არღუთინსკი ნაცვლად ა. ი. ხატისოვისა, რომელიც პეტერბურგს წავიდა.

## ბათომი.

◆ ბათომში იმდენად თბილა, რომ **ატამი ჰყვავის.**

## ქუთაისის ვითარება

არიან ერთი ჯურის კაცები, რომელნიც ფიქრობენ, რომ უიმათოდ არაფერი საქმე არ გაკეთდება აი, თუ გნებავთ აიღეთ **ბ-ნი ვასო ბალანჩივაძე.** იგი დიდი ხანია მოღვაწეობს ქართულ სცენაზე, ამის უარს არავინა ჰყოფს, მაგრამ მას ვერავინ დაეთანხმება, ვითომც უიმისოდ ქართული სცენა დაიღუპება. ორი წლის წინად, როცა დასს ადგენდა დრამატიული საზოგადოება, ბ-ნი ბალანჩივაძე არ მიიწვიეს. იქნება სხვა მიზეზიც იყო ამისი, მაგრამ უმთავრესიკი ის უნდა იყოს, რომ იგი სახელმწიფო სამსახურში და ეს გარემოება ყოველთვის აფერხებდა და, ეჭვი არ არის, ეხლაც შეაფერხებს საქმეს იმ მხრივ, რომ ასეთი არტისტი დილის რეპეტიციებს ვერ ესწრება.

სხვა ასეთ პირობებში ჩაყენებული იქნება უკმაყოფილოც გამხდარიყო; ამას კაცი გაიგებდა, მაგრამ როცა ეს უკმაყოფილება გამოიხატება ისეთს უშვერ ბრალდებაში, რომელიც ბ-ნმა ბალანჩივაძემ მოახვია თავზე დრამატიულ საზოგადოებას, მაშინ იგი შეუწყნარებელია. ამ პატარა წერილით გვინდა ვურჩიოთ ბ-ნ ვ. ბალანჩივაძეს მოსპოს ის უკადრისი კამპანია, რომელიც მან დრამატიული საზოგადოების წინააღმდეგ დაიწყო და თავის უკმაყოფილებას სხვა გზა მისცეს.

***

**ქალაქის გამგეობა** საჩქაროდ ამზადებს მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვას და მალე წარუდგენს საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად. იმ საშუალებით, რომელიც ეხლა აქვს ქალაქს, არსებული დაწესებულებანი თუ დაკმაყოფილდებიან შემოსავლით, თორემ, სხვა ახალ საჭიროებების დაკმაყოფილება ფიქრადაც არავის მოუვა. ეს გარემოება ავალებს, როგორც ქალაქის გამგეობას ისე საბჭოსაც, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ არსებულ ორგანიზაციას. ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სატეხნიკო რი განყოფილება, რომლის მეთაური თუმცა დიპლომიანი ინჟენერია, მაგრამ არ გვინახავს ისეთი კაცი, რომ მისი მოღვაწეობის მადლიერი იყოს. ყველა ერთნაირად გოდებს ამ საგანზე, თვით მეთაურს სატეხნიკო განყოფილებისას კარგად უნდა ესმოდეს, რომ იგი ვერ აკმაყოფილებს ქალაქის საჭიროებას, მაგრამ საქმე იმავე ადგილს არის, სადაც ამ ერთი, ორი და სამი წლის წინად იყო. ერთხელ, თუ არა ვცდები, სცადეს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს ინჟენერის ჯამაგირის შემცირება იმ აზრით, რომ მიხვდება და თითონ გამოეთხოვება ქუთაისსაო, მაგრამ თხოვნამ და შუამდგომლობამ გასჭრა და დღესაც იგივეა, რაც 4—5 წლის წინად. ეხლა, როცა ქალაქი დიდ საქმეებს შეუდგადა, მაშასადამე, მხნე და მცოდნე ინჟენერი აუცილებელი საჭიროა ქალაქის მიერ განზრახულ საქმეების განსახორციელებლად დროა ამ შენიშვნაში აღნიშნულ საკითხს შესაფერი გზა მიეცეს.

ქალაქის თავს ამ შემთხვევაში ბევრი რამ ევალება და, რასაკვირველია, მანვე უნდა გახსნას ეს კვანძი.

## ქუთაისის ქარ. დრამ. საზ. არაჩვეულებრივ კრების გამო

(29 იანვარს).

პრესას არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ დრ. საზ. გამგეობის მეოხებით ქარ. თეატრმა საზოგადოების ყურადღება მიიზიდა და როცა, გარემოებათა გამო, დრ. საზ. დავალიანდა, გამგეობამ დამხმარე კომისიის ხელის შეწყობით რამდენიმე ათასი მანეთი შეაგროვა ქუთაისში, რაც დიდ საქმედ უნდა ჩაითვალოს.

ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ ამავე გამგეობამ არა ჩვეულებრივი მხნეობა გამოიჩინა, რათა ქართული წარმოდგენები რიგიანად მოეწყო და მაშინ მივხვდებით, რომ მადლობის მეტი ასეთს გამგეობას არა ეთქმის-რა.

მაგრამ მსახიობი ვ. ბალანჩივაძე ასე არ უყურებს საქმეს.—მას ჰგონია, რომ უიმისოდ ქართული თეატრი იღუპება, მსახიობი მსახიობს აღარა ჰგავს და რაც-კი კეთდება, ყოველის ფერი სცენის დასაღუპავად და არა ასაღორძინებლად.

რომ განსაცდელისაგან ეხსნა ის დაწესებულება, რომელსაც იგი 18 წელიწადი ემსახურა, როგორც თითონ ლაპარაკობს, პირნათლად, მან წარსულის წლის, თუ არა ვცდები, ივნისში განცხადება შეიტანა წლიური კრების მოსახსენებლად, რომ ფული იფლანგება, ქართული თეატრი გასაჭირს განიცდის და სხვა ამგვარი საშინელება.

კრებამ მოისმინა გამგეობის მიერ წარმოდგენილი ანგარიში, მოისმინა სარევიზიო კომისიის მოხსენება და მიუხედავათ ბალანჩივაძის საჩივარისა ანგარიში დაამტკიცა და ნიშნად სრული ნდობის გამოცხადებისა, მთელი გამგეობა ხელ-მეორედ აირჩია.

სხვა რო ყოფილიყო ბალანჩივაძის მაგიერ დაწყნარდებოდა და თავის უკმაყოფილებას გულში [illegible] ჩაიკლავდა, [illegible] ძახ იხელთა დრო და როცა დრ. საზ. დამხმარე კომისია ფულის შეკრებას შეუდგა საზოგადოების დეფიციტის დასაფარავად, დასწერა უშველებელი საჩივარი და დამხმარე კომისიის თავმჯდომარეს გაუგზავნა.

იქ, რასაკვირველია, მრავალი ბრალდებით სავსე წერილმა ბალანჩივაძისამ თავისი შთაბეჭდილება მოახდინა და იქამდისაც კი მივიდა საქმე, რომ მცირე ხნით საქმე შეფერხდა, ვიდრე დამხმარე კომისიამ არ გამოჰყო მცირე კომისია ამ საქმის გამოსაკვლევად. ეს გამოკვლევა მოჰხსენდა არა ჩვეულებრივ კრებას 29 იანვარს. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ არც ერთ ბრალდებას ბ-ნ ბალანჩივაძისას არავითარი საფუძველი არ აქვს; თუ მცირე კომისია დასთანხმებია რაიმე ბ-ნ ბალანჩივაძეს, ესეც იმითია ახსნილი, რომ შეუცდომელი მარტო პაპია რომისა და რა გასაკვირველია, რომ ქუთაისის, ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას მცირე შეცდომა მოუვიდეს ისეთს რთულ საქმეში, როგორიც ხელმძღვანელობაა ქართული თეატრისა.

ვ. ბალანჩივაძემ მაინც გძელი და ცხარე სიტყვა წარმოსთქვა იმ თემაზე, რომ წინადაც სეზონები იყო, წინადაც მოღვაწეობდნენ მსახიობნი ეხლანდელებზე ბევრად უფრო სახელ განთქმულნი მაგრამ არაოდეს ისეთი დეფიციტით არ გაუთავებიათ სეზონი, როგორც შარშანდელი გათავდაო. ბოროტ-მოქმედების ჩადენას გამგეობის წევრებს არ ვაბრალებო, მაგრამ დაუდევრობას და ფულის ფლანგვა-კი შეიძლება დავაბრალდესო.

კაცს ეგონებოდა, რომ საქმე ამით გათავდებაო, მაგრამ უკანა წყებაში მყოფნი, როგორც სჩანს დააკმაყოფილა ბ-ნ ბალანჩივაძის მჭერმეტყველობამ და ტაშით შეჰხვდნენ მის სიტყვას, ამას მოჰყვა ექიმ ნასარიძის სიტყვა, რომელშიაც გამოსჭვიოდა ბ-ნი ბალანჩივაძის ქომაგობა თუ არა, გამგეობის მოქმედების უკმაყოფილება და თანისყალბი აზრი არსებითად, ვითომც ქართული თეატრი ყოველთვის თავს შეინახავს თუ მის მმართველნი წესიერად დააყენებენ საქმეს.

ამ გარემოებამ და იმან, რომ გრ. გიორგაძემ წინადადება მისცა კრებას ნება დართოს ვ. ბალანჩივაძეს გაეცნოს დრ. საზ. ანგარიშებს, ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოდ დამსწრეებზე და კერძოდ-კი გამგეობის წევრებზე, რომ რამდენიმე მათგანმა უარი განაცხადა გამგეობაში სამსახურზე. ბ-მა ალ. კრინიცკიმ ცხადად გაჰკიცხა ექიმ ნასარიძის მოქმედება; სამაგიეროდ ბ-მა ნასარიძემ უფრო ცხარე კილოთი მოიხსენია ბ-ნი კრინიცკის მოღვაწეობა გამგეობაში და კრება მიატოვა.

[illegible] მონასტერი და[illegible] კაცი ვერ იტყოდა რით დამთავრდებოდა საქმე, რომ ბ-ნ ილია ჩიქოვანს, გამგეობის წევრს, არ წამოეყენებინა კითხვა ნდობის გამოცხადების შესახებ გამგეობის მიმართ, ასეთი აღელვებული ბ-ნი ჩიქოვანი ჩვენ არ გვინახავს. მან აღნიშნა რამდენად რთული და ძნელია ქართული წარმოდგენების მართვა, რამდენად დაიმცირა მან და მისმა ამხანაგებმა თავი, რომ დავალიანებულ საზოგადოებისათვის სახსარი არსებობისა მოეპოვებინათ და ისიც, რომ დასის შედგენაში გამგეობა მხოლოდ და მხოლოდ იმით ხელმძღვანელობდა, რომ თეატრისათვის სასარგებლო მუშაკნი მოეპოვებინათ და ნაცვლად მადლობისა, აქ შეუწყნარებელ ბრალსა გვდებენო. ამისთანა პირობებში,—დაამთავრა ბ-მა ჩიქოვანმა,—კრებამ ან სრული ნდობა უნდა გამოუცხადოს გამგეობას ან და ეხლა უნდა დავიშალოთ და ვიზრუნოთ ახალი გამგეობის შედგენისაო.

ეს წინადადება მიღებულ იქნა იმ მხრით რომ ხმის ჩამოუტარებლივ კრებამ ნდობა გამოუცხადა გამგეობას და დაიშალა.

არ ვიცი, რა გულით დასტოვეს გამგეობის წევრებმა თეატრის დარბაზი. კერძოთ ჩემზე კი ამ კრებამ უსიამოვნო შთაბეჭდილება იქონია და ერთი ორი ასეთი კრება სრულებით ძირს გაუთხრის ისეთს დიდ საქმეს, როგორიც თეატრია, ამას ნუ დაივიწყებენ ისინი, ვისაც ქართული თეატრის მოჭირნახულედ მოაქვს თავი.

ამავე კრებაზე გადასწყდა, რომ გამგეობამ დასი იყოლიოს 19 მარტიდან 20 მაისამდე.

## აი მართალი!

(ბ. დეგოთელის წერილის გამო).

მე თავს ვანებებ გარდმოცემის იმ ადგილებს, სადაც ნათქვამია, როგორ გაილაშქრეს ჩალმებმა ღლიღველებზე, როგორ დაატყვევეს ისინი და წამოასხეს (ყველანი წამოასხეს? კავკავის ოლქში ღლიღველი აღარ დარჩა?) კახეთში და დაასახლეს თავის მეზობლად. მაგრამ ერთი შენიშვნა კიდევ უნდა მივცე „გარდმოცემას". ჩალმებმა რომ წოვები ზემო ალვანში (სად იყო მაშინ ან ზემო, ან ქვემო ალვანი,—აღარ ვკითხავთ, ბ. დეგოთელო?!) **თავის მეზობლად** დაასახლეს, თვითონ ჩალმები სადღა ცხოვრობდნენ? ალბად, ქვემო-ალვანში!.. ეს მეორე აბსურდი, რომელიც დაისკვნება „გარდმოცემის" შინაარსიდან! აქედან ისიც დაისკვნება, ვითომც, ალვანი ეკუთვნოდა მხოლოდ ჩალმებს; ეს რომ ასე ყოფილიყო, ჩალმა როგორ დაასახლებდა ალვანში წოვებს.

ამის შესახებ ნებას ვაძლევ ჩემთავს დავარწმუნო ბ. დეგოთელი, რომ ალვანში პირველად (ზემოდაც ითქვა) დამკვიდრდნენ წოვა თუშები. გარდა ამისა მომყავს ისტორიული ცნობა იმის დასამტკიცებლად, რომ ალვანი ეკუთვნოდა მთელ თუშობას. ჩემ ხელთ არის ერთი გუჯრის პირი, რომელშიაც სწერია:

„სახელითა ღვთისათა, ჩვენ ისეიან, დავითიან... ესე ჟამთა და ხანთა გამოსადეგი წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ... **სულ ერთობილთ თუშთ...** გიბოძეთ ალონის ადგილი"...

ეს დოკუმენტი ეკუთვნის 1757 წელს და ხელ-მოწერილია თეიმურაზ და ერეკლე მეფისა. აქედან მკითხველი, აშკარად დაინახავდა, რომ „ალონი" ეკუთვნოდა მთელ თუშობას, და [illegible] მიილოს, ვითომ, წოვები ჩალმებს დაესახლებინოთ ალვანში. [illegible] განვმარტო, რომ ღლიღველთ ნაწყვეტი—მერე წოვად წოდებული—დასახლდა პირველ ხანებში წოვათაში; წოვათა მდებარეობს ანდიის კოისუს ერთ-ერთ შტოს სათავეში. აქ დაარსეს ღლიღველებმა სოფელი წარო. ხალხმა იმატა და აქეთ-იქით გაიწია, ააშენეს სოფლები: მოზართა, ინდურთა, საგირთა და ჰეგლტა. წოვა თუში დიდის ხნის განმავლობაში ცხოვრობდა მხოლოდ მთაში და ფიქრადაც არ მოსდიოდა, დასახლებულიყო ბარად. ან სად უნდა დამკვიდრებულიყო საცხოვრებლად, როდესაც ადგილი არც კი ჰქონდა. წოვამ, ალბად, მაშინ დაიწყო მოსახლეობა ბარში, როდესაც მეფეებმა მიუჩინეს ალვანი. მაშასადამე, წოვა თუშს დაუწყვია დამკვიდრება არა უწინარეს 153 წლისა (1911 წ.—1758 წ.) „გარდმოცემის" თქმით კი გამოდის, რომ წოვები ღლიღოეთიდან პირდაპირ გადმოუსახლებიათ ალვანში, ზემო-ალვანში!!..

ბ. დეგოთელი გვატყობინებს, რომ წოვა თუშის ქალი და ბალღი „ან სულ არა ლაპარაკობენ ქართულად და ან ძალიან ცუდად"... აქაც შეცდომაა. მამრობითი სქესი ძალიან ადრე სწავლობს ქართულს. არ მახსოვს, რომ 10 წლის ბიჭმა უკვე არ იცოდეს ქართული. ქალი, მართალია, უფრო გვიან სწავლობს ქართულ ენას, მაგრამ აქაც უნდა ითქვას: საქმროდ მოღერებულ ქალს უკვე შეთვისებული აქვს სადავო ენა. „თარჯიმნების" როლი ავტორს სისწორით ვერ წარმოუდგენია. თარჯიმნობა გამოწვეულია თუშების ცხოვრებით, უკეთ—ჩვეულებით. წოვა თუშის აზრით, დასაძრახისია, თუ ქალი—მეტადრე ახალგაზდა—(არა-ნათესავს) ელაპარაკება. ამიტომ, როდესაც ქალი მიდის ექიმთან, ან ბოქაულთან, თან ახლავს ხოლმე ან მამაკაცი, ან ხანში შესული ქალი. მაგრამ ამ ბოლო დროს მარტოკაიც დადიან. ასე რომ „თარჯიმანი" ენის უცოდინარობას არ გამოუწვევია.

**დ. ქადაგიძე.**

(დასასრული იქნება)

**შეცდომის გასწორება.** ჩემს წერილში (№ 512-ში) შეპარულა ორი კორექტურული შეცდომა.

სწერია (ზევიდ. მე-45 სტრ.): „დართლის საზოგადოებისათვის" უნდა იყოს: „დართლოზ საზოგადოებისათვის" სწერია (სვეტის თავიდან მე-35 სტ.): „ღლიღველები ქისტები არიან" უნდა იყოს: „ღლიღველები ქისტები არ არიან".

**დ. ქადაგიძე.**

დიდად ხელის შემწყობი არ არის, მეურნეობა განსაცვიფრებლად განავითარა და ააყვავა. ის თავისი სამეურნეო ნაწარმოებით ავსებს საქვეყნო ბაზარს, განსაკუთრებით ინგლისისას. ამისი მთავარი მიზეზი ის არის, რომ მთელ დანიაში მოფენილია ზემოდ დასახელებული კოოპერატიული ამხანაგობანი. პირველი რძის გადამმუშავებელი და გამყიდავი კოოპერაცია დასავლეთ დანიაში, იუტლანდიაში ქალაქ ელგოდში დაარსა ადგილობრივმა მენახირემ შტილლინგმა ანდერსონმა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო სკოლაში იყო ნამყოფი; ეს იყო 1882 წელს. ამხანაგობა ძალიან გაფართოვდა და გაიზარდა. 1903 წლის დასაწყისში მთელ დანიაში იყო უკვე 1.046 კოოპერატიული სარძევე დუქანი 148,000 წევრით; 1906 წელს კი იყო 1.076 ამ გვარი კოოპერაცია 157.537 წევრით. ყველა ამ კოოპერაციებმა 1906 წელს მოაგროვეს ერთად 4.500.000 გირვანქა ერბო 170.000.000 კრონად (კრონა—52 კაპეიკი) ღირებული. საერთო წლიური წარმოება მარტო ამ გვარ კოოპერაციებში ამ საუკუნის დასაწყისში უდრიდა 69 მილ. კილოგრამს (4,2 მილ. ფუთი). დიდი წილი სოფლის ნაწარმოებისა, განსაკუთრებით ერბოსი, დანიას საზღვარ-გარედ გააქვს, უფრო კი ინგლისში. ამ უკანასკნელ წლებში ინგლისს გამოაქვს დანიიდან $4^{1}/_{2}$—$5^{1}/_{2}$ მილ. ფუთამდე ერბო, რაც შეადგენს 42%—45% იმ ერბოსას, რასაც მთელი ინგლისის ბაზარი იზიდავს გარეშე ქვეყნებიდან.

ამ ციფრებიდან ჩვენ ვხედავთ, თუ რა ზომამდის განვითარდნენ კოოპერაციები და როგორ იზრდება მათგან დამზადებული ნაწარმოები. ეს ამხანაგობები კი რომ არ ყოფილიყო, დანია ამდენ ერბოს ვერ გაიტანდა გარედ ბაზარზე და იმ კეთილდღეობითაც ვერ ისარგებლებდა, რომლითაც ამ ჟამად სარგებლობს. ამ გვარ ამხანაგობების აღორძინებამდე თვითეული მეურნე თვითონვე ამზადებდა ერბოს. გლეხის ქალი სდღვებოდა რძეს და ერბო მახლობელ ბაზარში გაჰქონდა, სადაც ჩალის ფასად ყიდულობდნენ ჩარჩები. ამ ნაირად იხარჯებოდა მეტი დროც, როგორც რძის წარმოებაზე, ისე გაყიდვაზე; ფასი კი ძალიან მცირე იყო. ახლა კი ამხანაგობის თვითეულ წევრს მიაქვს რძე საამხანაგო ერბოს სახდელში და იმ წამსვე ღებულობს თავის საქონლის ნამდვილ ღირებულებას. ბევრი რძის მოსაგროვებლად, საჭიროა საუკეთესო ჯიშის ძროხების ყოლა და მათი მოვლაშენახვა როგორც წესი და რიგია. ამისათვის დანიაში კოოპერაციებს ჰყავთ თავისი მოგზაური მასწავლებლები, რომლებიც სოფლის მეურნეებს აწოდებენ ყველა საჭირო ცნობებს. გარდა ამისა არსებობენ კიდევ განსაკუთრებული მეთვალყურე საზოგადოებანი, რომლების მიზანია თვალ-ყური ადევნონ საუკეთესო ჯიშის ძროხების მოვლაშენახვას. ამ ნაირად საამხანაგო ორგანიზაციებმა ღრმად გაიდგეს ფესვები დანიაში და ყველგან მოეფინნენ, ასე რომ თითქმის რძის მთელი წარმოება მათ აქვთ ხელში. გლეხისგან დამზადებული ერბო უვარგისი იყო და დიდ დროსაც აკარგვინებდა ეს წარმოება. საამხანაგო ორგანიზაციამ გაანთავისუფლა გლეხი ზედ მეტ დროს დაკარგვისაგან და საშუალება მისცა მიწის მოვლა-დამუშავებისათვის უფრო მეტი ყურადღება მიექცია. ამ კოოპერაციების ასეთი გამრავლება ამტკიცებს მათ აშკარა სარგებლიანობას და დიდ მნიშვნელობას. დანია დღეს მაგალითია ყველა სხვა ქვეყნებისათვის. ირლანდიაში რძის ფერმა პირველად დაარსდა 1889 წ. მოკლე ხანში სულ დაარსდა 200 სარძეო ამხანაგობა. შვეიცარიაში 1903 წ. 1,538 ყველის გამკეთებელი და ერბოს დამზადებელი ქარხანა იყო. იტალიაში 1890 წლის ანგარიშით 900 კოოპერატიული სარძევე დუქანია. გერმანიაში 1905 წლის ნახევრებში მთელი იმპერიის კავშირის აღრიცხვით 2,832 ამხანაგობა არსებობდა; ამ უკანასკნელ ხუთი წლის განმავლობაშიც 1,000 მეტი ასეთივე ამხანაგობა დაარსდა. ამ ნაირად რძის წარმოების ამხანაგობანი მთელ ევროპას და ამერიკას მოეფინა. დიდი მნიშვნელობა აქვს მეურნეობაში კავშირებს მით, რომ ისინი არამც თუ ავრცელებენ სიტყვით და საქმით ერბოს საზოგადოებრივ წარმოებას, არამედ ყოველნაირად ეხმარებიან თავის წევრებს საქმის ტეხნიკურად და კომერციულად მოწყობა-მოწესრიგებაში, განსაკუთრებით ნაწარმოებისათვის ბაზრის აღმოჩენაში. კოოპერაცია ერთ მხრივ აუმჯობესებს რძის ყოველნაირ ნაწარმოებს; მეორე მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს მას პირუტყვი-საქონლის მოვლამოშენებისთვის. რადგანაც საუკეთესო რძე მეტად ფასობს, ამისთვის ამხანაგობანი ცდილობენ თავის წევრებს საუკეთესო ჯიშის ძროხები აყიდვინონ, რომელთა წესიერად მოვლა-პატრონობაზე ისინივე ცდილობენ და მეთვალყურეობენ. ამ მიზნით თავის წევრებს აძლევენ სხვა და სხვა დარიგებას საქონლის მოვლის შესახებ, უგზავნიან გამოცდილ ინსტრუქტორებს და სხვა. ყველა ამ სასარგებლო ცნობებით და საზოგადოდ ამხანაგობების მოღვაწეობით სარგებლობენ ყველა წევრებთან ერთად გარეშე პირებიც, რადგანაც მეურნეობაში ყველა ასეთი გაუმჯობესებანი ყველასათვის აშკარა და ხელმისაწდომი ხდება.

### 4.

### მეღვინეობის კოოპერაცია.

ამ უკანასკნელ ხანებში განვითარდა მეღვინეობის კოოპერაციაც, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

რაც შეეხება ყურძნის დაწურვას და ღვინის დაყენებას, აქ მსხვილი წარმოება საშუალებას იძლევა საჭირო მანქანების და სხვა და სხვა აპარატების ხმარებისას, რაც საუკეთესო ღირსების ღვინოს აყენებს. ამიტომაც გლეხისათვის საჭიროა განსაკუთრებით გაუმჯობესებულ იარაღების წყალობით ყურძნის გადამუშავება და ღვინის წესიერად დაყენება.

მეღვინეობაში არსებობს ორ გვარი ამხანაგობა. 1) ღვინის გამყიდავი დროებითი ამხანაგობა და 2) ღვინის მწარმოებელი მუდმივი ამხანაგობა, რომელსაც მიზნად აქვს მევენახეობის წესიერი წარმოება.

ღვინის ჯეროვანი დაყენება მოითხოვს ფულს და ტეხნიკურად გაუმჯობესებულ მანქანებს. და აი ღვინის დამყენებელი კოოპერატიული ამხანაგობანი საშუალებას აძლევენ გლეხს ყველა გაუმჯობესებულ საჭირო იარაღით სარგებლობისას. ამხანაგობის თვითეულ წევრს მიაქვს თავისი ყურძენი ერთ დანიშნულ ადგილას, სადაც ყურძნის გადარჩევის შემდეგ მცოდნე პირის ზედამხედველობით და ხელმძღვანელობით იწურება ყურძენი. დამზადებული ტკბილი ინახება საერთო სარდაფში, საიდანაც შემდეგ ყიდულობენ ან პირდაპირ მომხმარებლები, ან ვაჭრები. რადგანაც ამ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება ერთგვარი ღირსების გასასყიდი ღვინის მრავლად დამზადება, ეს საშუალებას აძლევს ამხანაგობას, განსაკუთრებით კი მათ კავშირებს, ერთიანად გაიტანონ ბაზარზე და ხელსაყრელ ფასებში გაჰყიდონ; ხშირად ამ შემთხვევაში მომხმარებელი საზოგადოება ერთიანად ყიდულობს ღვინოს. გაყიდვის შემდეგ აღებული ფული, საიდანაც საერთო ხარჯებს გადიან, ამხანაგობის წევრებზე ნაწილდება მათი ღვინის რაოდენობის და ღირსების მიხედვით. ყოველ მათგანს ღვინის გაყიდვამდისაც სესხად შეუძლიან ამხანაგობის კასიდან საჭირო ფულის მიღება. ამნაირად კოოპერაციების საშუალებით გლეხებს შეუძლიანთ თავი დაახწიონ მევახშეების და სირაჯების კლანჭებს და თანაც საუკეთესო ღვინო იქონიონ. ამგვარ კოოპერაციათა რიცხვი ყველგან სწრაფად იზრდება. ამ უკანასკნელ ხანებში გერმანიაში მათი რიცხვი 174 უდრის. მევენახე მუშათა პირველი პროფესიონალური კავშირი დაარსდა საფრანგეთში 1891 წ. მარონსანში, რომელიც ქალაქის მახლობლად მდებარეობს და განვითარებული მცხოვრებლებით არის დასახლებული. ამ სინდიკატს ჰქონდა კასა, რომელშიაც პირველ წელს 23.000 ფრანკი (ფრანკი=$37^{1}/_{2}$ კაპ.) ინახებოდა. ამ კასის წყალობით, საიდანაც წვრილი მესაკუთრენი სესხს იღებდნენ, ისინი თავის ღვინოს ინახავდნენ და თავის დროზე საუკეთესო ფასებში ჰყიდნენ. ამის შემდეგ ილია კატალამ დაარსა საწარმოვო და ღვინის გამყიდავი კოოპერატივი. ამ კოოპერატივს სახელად „თავისუფალი მეღვინეები" დაარქვა. დასაწყისშივე ამ კოოპერატივის დამფუძნებლებმა განიზრახეს მარტო ღვინის გაყიდვით არ დაკმაყოფილებულიყვნენ და ხარჯების შესამცირებლად და ღვინის ღირსების გასაუმჯობესებლად საერთო წარმოება მოეწყოთ. და მართლაც მიაღწიეს მათ ამ მიზანს. 1905 წ. მათი კოოპერატიული ქარხანა უკვე მუშაობდა. გარდა ამისა „თავისუფალ მეღვინეების" შემწეობით სასოფლო-სამეურნეო მუშათა პროფესიონალურმა კავშირმა დაარსა კოოპერაცია, რომელსაც ჰქონდა საკუთარი ქარხანა, სადაც საზოგადოების ყურძენი იწურებოდა. ამასთან ერთად დაარსეს საზოგადოებრივი სარდაფი, სადაც წევრების საერთო ღვინო ინახებოდა. ყველა ამან ნელნელა გამოასალმა გლეხები თავის ძველებურ პაწია სარდაფებს, უვარგის საწნახელებს და საქაჯავებს. მართალია, ამ ჟამად საფრანგეთში ასეთი კოოპერაციები ცოტაა, მაგრამ მათი საზოგადოებრივი სარგებლობა ჩქარა გაამრავლებს მათ და ააყვავებს.

**ზ. გოგებაშვილი.**

(დასასრული იქნება)

# ჩინეთის რესპუბლიკა

**დეპეშები.**

**მუკდენი.** იაპონელთა სიტყვით, მანჯურიის რესპუბლიკელთა საექსპედიციო რაზმის უფროსს ლანთიანვეის გერმანიის კონსულ გეინცეისთვის წერილით პროტესტი განუცხადებია იმის გამო, რომ გერმანიის კაპიტალისტებს მუკდენის გენერალ-გუბერნატორისათვის მილიონ სესხის მიცემა განუზრახავთ. ლანთიანვეის კონსულის მოქმედება ნეიტრალიტეტის დარღვევად მიაჩნია და სთხოვს სესხზე ხელი აიღოს.

**პეკინი.** მეფის გადადგომის ბრძანებაში დედოფალი ამბობს: არა მსურს ერთი ოჯახის ინტერესებისათვის მთელი ერის მისწრაფებას წინააღვუდგე, ამისათვის იმპერატორთან ერთად სახელმწიფოს გადავცემ უმაღლესის მართველობის უფლებით რესპუბლიკის დასაარსებლად. იუნშიკაის ეძლევა რწმუნებულება რესპუბლიკის დროებითი მთავრობა დაარსოს და რესპუბლიკანელებთან ერთად შეიმუშავოს გეგმა მოქმედებისა. დედოფალი იმედს გამოსთქვამს; რომ ქვეყანას იხილავს დაწყნარებულს და მანჯურელნი, ჩინელ ნი, მონგოლები და ტიბეტელები ერთ დიდებულ ჩინეთის ერს შეადგენს. მეორე ბრძანებით დამტკიცებულია იუნშიკაის მიერ შემუშავებული დებულება, თუ რა უფლებებით ისარგებლებენ იმპერატორი და საერთოდ სამეფო გვარეულობა ტახტიდან გადადგომის შემდეგ: იმპერატორს შერჩება იმპერატორის ტიტული და ისეთივე პატივით უნდა მოეპყრან, როგორც სხვა ქვეყნების მეფეებს. იმპერატორს რესპუბლიკის მთავრობა წელიწადში 4 მილიონ ლანს უნიშნავს. მცველები დარჩებიან მასთან. იმპერატორის კერძო საკუთრებას იცავს მთავრობა. იმპერატორის გვარდია ექვემდებარება სამხედრო მინისტრს. მანჯურელი მთავრები შეინარჩუნებენ თვის ტიტულს. სამეფო გვარეულობის წევრები ჩინეთის რესპუბლიკის მოქალაქის უფლებებით ისარგებლებენ; მათს ქონებას მთავრობა იცავს. იგინი თავისუფალნი არიან სამხედრო სამსახურისაგან. მთავრობამ უნდა იზრუნოს ღარიბ თავადთა უზრუნველყოფისათვის. ვაჭრობისა, მრეწველობისა და საცხოვრებელ ადგილის ყოველივე შევიწროება მოსპობილ იქმნება. რწმენის თავისუფლება იქმნება აღიარებული.

**პეკინი.** გამოაქვეყნეს ბრძანება დინასტიის გადადგომისა და რესპუბლიკის აღიარების შესახებ.

**ჩიფუ.** ადგილობრივ ვაჭრების ცნობით, ღამე ხუნსიანი მთავრობის ჯარმა აიკლო.

გენერალმა ლანტიავეიმ წერილით აცნობა ელჩებს, რომ იგი რესპუბლიკის მთავრობის მიერ მანჯურიის გუბერნატორად დაინიშნა.

**მუკდენი.** გაიპინი და ჩჯუანხე რევოლიუციონერებმა დაიპყრეს.

**გაზეთებიდან.**

**პეკინი.**

დღევანდელი მდგომარეობა ყველას დამაფიქრებლად მიაჩნია. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, შანჰაის მოლაპარაკება როგორ ჩაივლის. თუ ამ მოლაპარაკებამ, რომელიც ხან მისწყდება და ხან გამწვავდება ხოლმე, ვერ მოარიგა მებრძოლნი, უეჭველია ჩინეთში დიდხანს გაგრძელდება არეულობა და შეიძლება ბედკრულ ქვეყნის საქმეში უცხოეთის სახელმწიფონიც ჩაერივნენ. სახელმწიფოთა საქმეში ჩარევა კი, რევოლუციონერების აზრით, მთავრობისთვისაა ხელსაყრელი. იუანშიკაიც თურმე ამისათვის იღწვის. იუანშიკაის ერთ გამოჩენილ ადამიანისთვის უთქვამს, ვეცდები იმათ დაცემას, ვინც რესპუბლიკის დაარსებას მოითხოვენო. პეკინში ხმა დავარდა, თუ შანჰაის მოლაპარაკებამ უნაყოფოდ ჩაიარა, მთავრობა სასტიკ ბრძოლას დაიწყებსო. მართლაც ყველაფერი ამას ადასტურებს, რომ იუანშიკაი იარაღით იბრძოლებს და ადვილად არავის დაამარცხებინებს თავსა.

იუანშიკაის ერთი რამ უშლის ხელსა: ფული არა აქვს, არც იმედი აქვსვისიმე, არც უცხოელნი აპირებენ სესხის მიცემას. ყველა სახელმწიფო შანჰაიში წარმოებულ მოლაპარაკების შედეგს ელის.

ფული კი ძალიან სჭირდება იუანშიკაის, ჯარი უკმაყოფილოა და ჯამაგირს მოითხოვს. ამ ნიადაგზე უკვე რამდენიმე ადგილას ჯარი აჯანყდა. საზოგადოდ, იუანშიკაის მდგომარეობა ძალიან უიმედოა: არც ერთი მხარე ენდობა, არც მეორე. იუანშიკაიმ თურმე ორჯერ სთხოვა ქვრივ დედოფალს სამსახურიდან გამანთავისუფლეო, მაგრამ დედოფალმა არ შეიწყნარა მისი თხოვნა. ამ თხოვნის განსახილველად ამ დღეებში სამეფო გვარეულობას თათბირი ჰქონდა. დედოფალი შუა დარბაზში იჯდა და გვერდზე მცირეწლოვანი იმპერატორი იდგა. დედოფალი მწარედ სტიროდა და ბატონიშვილებსა სთხოვდა, მიშველეთ რამე, დაგვიხსენით განსაცდლისაგანაო. ბატონიშვილები ოხრავდნენ და სტიროდნენ: რა უნდა ექნათ, სანუგეშოს ვერაფერს ეტყოდნენ დედოფალს როდესაც დედოფალმა მეფის გადადგომის საკითხი წამოაყენა გადადგომის წინააღმდეგნი აღმოჩნდნენ ბატონიშვილნი; ჩინი, სუ, იულანი და ძაიტაო. ამის შემდეგ დარბაზში იუანშიკაი და სხვა მინისტრები შევიდნენ. იუანშიკაიმ დედოფალს გადადგომის ქაღალდი მიართვა, მაგრამ ბატონიშვილებმა და სხვებმა თხოვნა უკან წაალებინეს. იუანშიკაი დასთანხმდა და განაცხადა უფულოდ ვერაფერს გავხდებიო. თუ მეფის გვარეულობას ჰსურს ბრძოლა, ფული უნდა იშოვოს, თუ არ და მეფემ ტახტზე ხელი უნდა აიღოს და ქვეყნის ბედი ახალ მთავრობას ჩააბაროსო.

# არეულობა სპარსეთში

**გაზეთებიდან.**

**მაჰომედ-ალის ბედი.**

თეირანში სამშაბათს საღამოს რუსეთისა და ინგლისის კონსულებთან გარეშე საქმეთა მინისტრს მოლაპარაკება ჰქონია. ლაპარაკის საგნად მაჰომედ-ალის, ძველ შაჰის ბედი ყოფილა. აი, რა გადაუწყვეტიათ; სპარსეთის ხაზინამ ძველ შაჰს მაჰომედ ალის უნდა წლიურად 25 ათასი მანეთი აძლიოს, სალარ-დოულესა და შოა-სალტანეს კიდევ თორმეტ-თორმეტი ათასი. ძველ შაჰის მომხრეებს დანაშაულს აპატიებენ. სამაგიეროდ შაჰს მოსთხოვენ, საჩქაროდ მიატოვოს სპარსეთი. მთავრობამ ეს რჩევა მოიწონა და მაჰომედ-ალისაც აცნობა.

# იტალია-ოსმალეთის ომი

**დეპეშები.**

**რომი.** პალატის სესია 9 თებერვალს დაიწყება. პირველსავე სხდომის დროს წინადადებას მისცემენ დაამტკიცონ დეკრეტი, რომლის ძალითაც ტრიპოლი და კირენაიკის იტალიის სუვერენიტეტს უნდა დაექვემდებაროს.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

31 იანვარი.

**საზღვარ-გარედ.**

**პარიზი.** ერნუს დასაფლავების შემდეგ, როდესაც ხალხი სასაფლაოდან გამოდიოდა, რამდენიმეჯერ კიდევ მოხდა შეტაკება. რესპუბლიკის გვარდიის ქვას ესროდნენ და უკან დაახევინეს. დააპატიმრეს 20 კაცი.

**პრაგა.** ხორვატიის მდგომარეობის გამო მომხდარ კრების შემდეგ 200 ახალგაზდამ დემონსტრაცია გამართა და უნგრეთის დროშა დასწვეს. პოლიციამ დემონსტრანტები გაჰფანტა და ექვსი კაცი დააპატიმრა.

**ბერლინი.** გაზეთებში სწერენ, პოზნანის პოლონელ ექიმებს აღარა ჰსურთ სრულიად სლავიანთა ექიმების კონგრესში მონაწილეობა, მიზეზი ის დადგენილებაა, რომელიც სახელმწიფო სათათბირომ ხოლმშჩინის გამოყოფის გამო გამოიტანა.

**ჰააგა.** უცნობმა, რომელმაც ინგლისელად დაასახელა თავი, დილით გერმანიის მისიის შენობის რამდენიმე ფანჯარა ჩალეწა და გერმანიასა და იმპერატორ ვილჰელმს უღირსად იხსენიებდა. იგი დააპატიმრეს.

**პარიზი.** ანჩერში დაიწყო მაღაროების მუშათა ეროვნულ კონგრესის სხდომები, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს მაღაროს მუშათა საყოველთაო გაფიცვის საკითხი, რომ გავლენა იქონიოს პარლამენტზე, რათა განხორციელებულ იქმნეს კანონი პენსიებისა, 8 საათის სამუშაო დღისა და ხელფასის მინიმუმის დაწესებისა.

**ლვოვი.** საარჩევნო რეფორმის გამო სოციალისტებმა დიდი დემონსტრაცია მოახდინეს. რამდენიმე ათასისაგან შემდგარი ბრბო სეიმის წინ შეიკრიბა. გაგზავნეს დეპუტაცია მარშალ ბადენთან და პოლონეთის კოლოს თავმჯდომარე ბილინსკისთან. დაშინსკიმ გადასცა მუშების მოთხოვნილებანი. ბადენმა და ბილინსკიმ დახმარება აღუთქვეს. დემონსტრანტებმა ქუჩაში გაიარეს.

**ბერლინი.** შპანის პრეზიდენტობაზე უარის განცხადების გამო შინაგანი პოლიტიკური მდგომარეობა გამწვავდა. ნაციონალურ-ლიბერალური პარტია ყოველ დღე პროტესტს იღებს ამომრჩეველთაგან, რადგან მათ ხმა მისცეს სოციალდემოკრატს ვიცე-პრეზიდენტის ამორჩევის დროს. პარტიამ დაადგინა წინადადება მისცეს პააშეს, მეორე ვიცე-პრეზიდენტს. უარი განუცხადოს და თვისი კანდიტატურა არ წამოაყენოს პრეზიდენტის არჩევის დროს. კანცლერის თანამშრომელნი ცდილობენ ნაციონალ-ლიბერალები მემარჯვენეებთან მოარიგონ.

**რუსეთი.**

**საფრანგეთის სტუმრები.**

**მოსკოვი.** 4 ს. 40 წ. ჩქარი მატარებლით მოვიდნენ პარიზის სამუნიციპალო საბჭოს თავჯდომარე რუსელი, ვიცე-პრეზიდენტი კერტი, წევრები როლენი, რობალია, მერლენი და მდივანი რუსო. სადგურზე მიეგებნენ: ქალაქის თავი, გამგეობის წევრები და ხმოსნები, აგრეთვე ელჩი და ახალშენის წარმომადგენელნი. ქალაქის თავმა სტუმრებს პურ-მარილი მიართვა. სტუმრები „ეროვნულ სასტუმროში" ჩამოხდნენ.

საღამოს საფრანგეთის ახალშენის მცხოვრებლებმა სტუმრებს სადილი გაუმართეს. დალიეს სადღეგრძელო რუსეთის მეფისა და საფრანგეთის პრეზიდენტის.

**სევასტოპოლი.** მილიუტინის გვამი მოსკოვში წაასვენეს.

**პეტერბურგი.** შავი ზღვის ნაპირის მომწყობი კომისია შუამდგომლობს გზების შეკეთებასა და მალიარიასთან საბრძოლველ ზომებისთვის დახმარების აღმოჩენას.

**ოდესა.** აღმოაჩინეს ორგანიზაცია, რომელსაც აზრად ჰქონდა კასპეროვის ღვთის-მშობლის ხატის ძვირფას თვლების მოპარვა. სამი მონაწილეთაგანი შეიპყრეს. ორი მათგანი ცნობილი ყაჩაღის სავიცკის რაზმის წევრებია და მრავალი ბოროტ-მოქმედებათა ჩადენა ჰბრალდებათ.

**ნოვოჩერკასკი.** აკურთხეს სასოფლო-სამეურნეო საშუალო სასწავლებლის შენობა.

# სამედიატორო სასამართლოს დადგენილება

**ბ. გ. შემოქმედელისა და ვ. ჯაფარიძის საქმის გამო.**

წარსულ ზაფხულს გაზეთ. „Зак. Рѣчь-"ის №№-197 და 199-ში დასტამბული იყო ბ-ნ შემოქმედელის წერილი სათაურით „გაკვრით". (Мимоходомъ), რომელშიაც ბ-ნი შემოქმედელი ეხებოდა საზოგადოდ თელავში საზაფხულოდ გამართულ საპედაგოგიო კურსებს და კერძოდ ვ. ჯაფარიძეს, როგორც ამ კურსების ერთ ხელმძღვანელთაგანს. ბ-ნმა ჯაფარიძემ თავისი თავი შეურაცხყოფილად დაინახა და ბ-ნი შემოქმედელი სამედიატორო სამართალში გამოიწვია; თავის მხრით მოსამართლეებად დაასახელა ი. ე. გამყრელიძე და ს. ი. ბაქრაძე. ბ-ნი შემოქმედელი დასთანხმდა გაჰყოლოდა სამედიატორო სამართალში და თავის მხრივ მოსამართლეებად მიხ. ქაიხ. ყიფიანი და ლ. გ. ბოცვაძე დაასახელა. დასახელებული მოსამართლენი 1911 წელს 16 ნოემბერს შეიკრიბნენ და თავმჯდომარედ ერთხმად ექიმი მიხეილ გედევანიშვილი აირჩიეს. სასამართლოს ამ საქმის გასარჩევად რამდენიმე სხდომა ჰქონდა; უკანასკნელ სხდომაზე ამა წლის 3 იანვარს, სასამართლომ წინადადება მისცა ორსავე მხარეს შერიგებისა, რაზედაც თანხმობა განაცხადეს, თუ კი სასამართლო შეიმუშავებდა ისეთს ფორმულას, რომელიც ორსავე მხარეს დააკმაყოფილებდა. ბ-ნმა შემოქმედელმა განაცხადა, რომ მზად არის შეურიგდეს, თუ ბ-ნი ჯაფარიძე აღიარებს, რომ იგი გაჰყვა მოლიპულ გზას და მოიქცა ინსპექტორის მიერ მიცემულის პროგრამის და 1881 წლის სასწავლო გეგმისწინააღმდეგ, როცა პირველ განყოფილებაში არითმეტიკის გაკვეთილს არა დედაენაზე აძლევდაო.

სასამართლომ შემდეგი, შერიგების ფორმულა შეიმუშავა.

წარსულ ზაფხულში სახალხო სკოლების დირექციის მიერ თელავში გამართულ საპედაგოგიო კურსებზე, სადაც 28 მასწავლებელი იყო, ამათში სამი რუსი, ბ-ნმა ჯაფარიძემ პირველ განყოფილებაში წლის დამლევს არითმეტიკის გაკვეთილი მისცა არა დედა ენაზე, თუმცა დირექციის პროგრამა ავალებდა I და II განყოფილებაში დედა ენაზე სწავლებას, თანახმად 1881 წლის სასწავლო გეგმისა. ბ-ნმა ჯაფარიძემ ფაქტი არა სამშობლო ენაზე არითმეტიკის გაკვეთილის მიცემისა აღიარა, მაგრამ არ მიიჩნია თავისი თავი 1881 წლის გეგმის დამრღვევლად. ბ-ნმა შემოქმედელმა, როცა დაწვრილებით გაეცნო სასამართლოში ვ. ჯაფარიძის განმარტებას, ვალდებულად დასახა თავისი თავი ჩამოეშორებინა პირადად ჯაფარიძისათვის ყველა ბრალდებანი, რაც ჯაფარიძის შესახებ იყო დასტამბული „Зак. Рѣчь"-ის №№ 197 და 199 „გაკვრით"-ი (Мимоходомъ) სათაურით.

რადგან ამ ფორმულაზე მოხდა ორივეს შერიგება, სასამართლომ ამ საქმის წარმოება მოსპო.

სამედიატორო სასამართლოს თავმჯდომარე:

**მიხეილ გედევანიშვლი.**

სასამართლოს წევრები **მიხ ქ-ძე ყიფიანი ივ. ევდ. გამყრელიძე, ს. ბაქრაძე, ლ. გ. ბოცვაძე.**

# რუსეთი

**ეპისკოპოსი ანტონინი.**

ეპისკოპოსი ანტონინი პეტერბურგის სამიტროპოლიტოს ვიკარი იყო. ცნობილ „ცხრა იანვრის" შემდეგ ეპისკოპოსმა ანტონინმა ქადაგება წარმოსთქვა, რომელშიც თვის სამწყსოს 9 იანვრის ტრაგედიის გამო საყოველთაო მიტევებას ურჩევდა. სიტყვები სავსე იყო ჭეშმარიტ ქრისტიანულ გრძნობით და ძლიერი შთაბეჭდილებაც მოახდინა მსმენელებზე. ეპისკოპოსის ქადაგება დაიბეჭდა და ისე ავრცელებდნენ ხალხში. სინოდმა ამის შესახებ საიდუმლო გამოძიება დანიშნა; ეპისკოპოს ანტონინს ეპარქია ჩამოართვეს და „ტროიცკო-სერგიევის უდაბნოში გაგზავნეს.

ეპ. გერმოგენის დასჯის შემდეგ ხმები დადის, ანტონინს კვლავ დაუბრუნებენ ეპარქიას და ამ საკითხის აღმძვრელი სინოდის ობერ-პროკურორი საბლერიო.

**ცეცხლი პეტერბურგში.**

პეტერბურგში ამ ერთი კვირის წინად ცეცხლი გასჩენია სამ სართულიან სახლს „მალაია ოსტროვზე". სახლში უმეტეს ნაწილად მუშა ხალხი სცხოვრობდა თურმე. ცეცხლი მოულოდნელად მოსდებია მთელს შენობას. მდგმურები ფანჯრებიდან, ხტებოდნენ და ბევრი სასიკვდილოდ დაშავებულა. ჟუჟუ-მწოვარ ბავშვებს თურმე ფანჯრიდან ისროდნენ ქვეშ გაშლილ ზეწრებზე. ერთ კაცს ხელიდან გაჰშვებია ზეწარი და მისი ცოლი მესამე სართულიდან გადავარდნილა და ხერხემალი გასტეხია. ქმარს თავზარი დასცემია ამ შემთხვევით და თვითონაც მესამე სართულიდან გადმოვარდნილა. მოსულა ცეცხლის მქრობელი რაზმი. დაჭრილები თურმე ათობით მიჰყავდათ სამკურნალოში. დაჭრილთა მდგომარეობა უნუგეშოა. ცეცხლის დროს დამწვარა კუკუსოვის ცოლი ორ მცირე-წლოვან ბავშვითა.

**კულიაბკოს დაპატიმრება.**

სენატორ ტრუსევიჩის განკარგულებით დააპატიმრეს კიევის დამცველ განყოფილების ნაუფროსალი კულიაბკო. რევიზიამ გამოარკვია, რომ კულიაბკოს თეატრში შესასვლელი ბილეთი მარტო ბაგროვისთვის კი არ მიუცია, არამედ თვის თანამშრომელთათვისაც: როგორც ამბობენ, თანამშრომელთა რიცხვში ერთი ქურდიც კი რეულა. ეს ქურდი და ორი კიდევ სხვა თურმე პოლიციას ემალებოდნენ და კულიაბკოსთან უპოვიათ თავშესაფარი. ამ პირებს მრავალ ბოროტმოქმედებათა ჩადენას აბრალებენ. ისიც გამორკვეულა, რომ კულიაბკოს ფული გაუფლანგავს.

**პეტერბურგის უნივერსიტეტში.**

პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტობაში მღელვარებაა, რომელიც, როგორც ვწერდით, პროფესორ მოგულინისა და სამინისტროსაგან და პრივატ-დოცენტის სპერანსკის დათხოვნამ გამოიწვია. იურიდიულ ფაკულტეტის დეკანს პოკროვსკის უარი განუცხადებია დეკანობაზე.

**პოლკოვნიკის მაგიერ.**

პოლკოვნიკი კაზარინოვი, რომელიც წელიწადში 700 მანეთს პენსიას იღებდა, თურმე 10 წლის წინედ გარდაცვლილა. ერთ კატორღელს მიუთვისებია კაზარინოვის გვარი და მისი საბუთებით უსარგებლია ამ ათი წლის განმავლობაში 700 მანეთს პენსიას ღებულობდა. თურმე ეს ამბავი მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს გამოაშკარავებულა და დამნაშავე შეუპყრიათ.

**სრულიად რუსეთის საეკლესიო კრება.**

მართლმადიდებელ ეკლესიის საქმეთა კომისიამ ერთხმად დაადგინა, სინოდის 1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს ისეთი ფორმულა მივიღოთ, რომელშიაც სურვილი იქნება გამოთქმული სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების დაუყონებლივ მოწვევისა, რომელიც ეკლესიას დაამყარებს სინიდისის კანონიერ თავისუფლების ნიადაგზეო.

# ჩვენი ფოსტა

**„ოკრიბელ ბიჭუნას".** თქვენი „პასუხის პასუხი" არ დაიბეჭდება. „კოლხიდაში" დაბეჭდილ წერილზე პასუხიც „კოლხიდაშივე" უნდა დაიბეჭდოს, რადგანაც ჩვენის მკითხველისათვის იგი გაუგებარი იქნება.

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

# გამოსადეგი ცნობა

**მატარებელთა მიმოსვლა**

**ზამთრობით** (15 ოქტომბრიდან 1911 წ.) (დრო ტფილის. საათითაა ნაჩვენები, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წ. არის წინ).

**ტფილისიდან გადის.**

**ბათუმისაკენ:** 1) სამგზავრ. მატარ. № 7, I—III კლ., საღ. 10 ს. 38 წ., გორში 1 ს. 25 წ., მიხაილოვში 3 ს. 8 წ., რიონში დილ. 7. ს. 52 წ., ბათუმში 1 ს. 42 წ.

2) სამგზ. მატ. № 5, I—III კლ. საღ. 5. ს. 45 წ., გორში 8 ს. 24 წ., მიხაილოვში 9 ს. 51 წ., რიონში 1 ს. 54 წ., ბათუმში დილის 6 საათ. 26 წ.

3) საფოსტო მატ. დილ. 9 ს. 50 წ., გორში 12 ს. 27 წ., მიხაილოვში 1 ს. 56 წ., რიონში დილ. 6 ს. 17 წ., ბათუმში 11 ს. 13 წ.

**ბაქოსაკენ:** 1) ჩქარი მატ. № 2, I—III კლ. დილ. 10 ს. 20 წ., განჯაში 3 ს. 18 წ., ბალაჯარაში ღამ. 1 ს. 16 წ., ბაქოში 11 ს. 43 წ.

2) სამგზ. მატ, № 6, I—III კლ. დღ. 3 ს. 38 წ., განჯაში ღამ. 9 ს. 46 წ., ბალაჯარაში დილ. 7 ს. 34 წ., ბაქოში 8 ს. 1[illegible] წ.

3) საფოსტო მატ. № 4, I—III კლ. ღამ. 11 ს. 18 წ., განჯაში 5 ს. 29 წ., ბალაჯარაში დღ. 3 ს. 30 წ., ბაქოში 4 ს. 42 წ.

4) შერეულ. მატ. № 106, IV—III კლ. დილ. 5 ს. 32 წ., განჯაში 2 ს. 57 წ., ბალაჯარაში დილ. 5 ს. 58 წ., ბაქოში 7 ს. 12 წ.

**ბორჯომისაკენ:** 1) სამგზ. მატარებ. № 9/66, I—III კლ, დღ. 3 ს. 23 წ., ბორჯომში 9 ს. 2 წ.

**ჯულფასა და ერევნისაკენ:** 1) საფოსტო მატ. № 74/75, I—III კლ. საღ. 1 ს. 48 წ. ჯულფაში მეორე დღის საღ. 1 ს. 10 წ.

2) სამგზ.-საქონლ. მატარ. № 78—79, II—III კლ. დღ. 5 ს. 34 წ., ერევანში დილის 11 ს. 6 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბათომიდან:** 1) სამგზ. № 6, I—III კლ. 2 ს. 50 ს. საფოსტ. № 4, I—III კლ. დილ. 10 ს. 28 წ. 3) სამგზ. № 8, I—III კლ. დილ. 5 ს. 33 წ.

**ბაქოდან:** 1) სამგზ. № 5, I—III კლას. საღ. 5 ს. 7 წ. 2) საფოსტ. № 3, I—III კლ. დილის 8 ს. 54 წ. 3) ჩქარი № 1, I—III კლ. ღამ. 9 ს. 56 წ. 4) შერეული № 107, IV—III კლ. ღამის 9 ს.

**ერევან-ჯულფიდან:** საფოსტო მატ. № 72/73, I—II კლ. 8 ს. 25 წ. 2) სამგზავ.-საქონ. № 80/81, II და III კლ. დღ. 1 ს. 40 წ.

**ბორჯომიდან:** სამგზ. № 61/0, I—II კლ. დილ. 8 ს.

**შენიშვნები:** 1) გადაუჯდომლად პირდაპირ მგზავრობა ტფილის-ბაქო-როსტოვამდე შეიძლება განსაკუთრებულ ვაგონებით, რომელიც ამიერ-კავკასიის 1 და მე-2 მატარებელს მისდევს, ხოლო კავკასიის მატ. მე-5 და მე-6. ყველა ვაგონები პლაცკარტითაა (საკუთარ. საწოლებით).

**გემების მიმოსვლა შავ ზღვაზე.**

(ზამთარში).

**რუსეთის საზოგადოებისა.**

**ბათომიდან გადის:** ოდესისაკენ პირველი—საფოსტო-სახალხო გემი სამშაბათობით ღამის 1 საათს, ყველა ზღვის პირა ქალაქს გაივლის. მეორეც—ხუთშაბათობით, ღამის 1 საათს. პირ და პირ—სოხუმით, გაგრათი, სოჭით, ტუაფსეთი, ნოვოროსიისკით-ფეოდოსიით, იალტათი, სევასტოპოლითა და ევპატორიით შაბათობით, შუაღამეს.

**სახალხო გემები** ყველა ზღვის-პირა ქალაქებზე ორშაბათობით და სამშაბათობით ნაშუადღევის 2 საათს.

**სახალხო-საქონლის** გემები — ესენიც ყველა ქალაქისკენ გაევლიან ოთხშაბათობით და პარაკსევობით შუაღამეს.

**უფასო საექიმო დახმარება**

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზის ქ. 1, ტელ. 751).

10, 11—12 **ა. ი. შიურმანისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5, ტელეფ. 171).

**ქალაქის საავადმყოფოები**

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

**სასანიტარო ექიმები**

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

[illegible]0, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველან შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩ. 51 და მალაკანის მოედანზე.

# განცხადებანი


## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დილით:**

**„606"—11—12 ს. შეხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი;** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 9—10 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.

**კბილის** საექიმო კაბინეტი **ი. ა. ფრანკისა** 9—2 ს. წამლობა, პლომბის გაკეთება და ხელოვნური კბილების ჩასხმა.

**საღამოთი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

**ი. ა. ფრანკი:** 5—7 ს.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. 1074.5)

## იჯარით იძლევა ბაღი

ორთაჭალაში, სახელად **„მეგობრები" („დრუზია")**. პირობების გაგება ტრამვაის კანტორაში შეიძლება.

(3—1084—2)

## გამოცდილმა მასწავლებელმა

**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა** მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

**აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე**, ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო-8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ, спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.77)